ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 14 აპრილი 2004 №82 (2101) ფასი 50 თეთრი


# იოჰან ბოსკამპი თბილისშია

## შეხვედრა წარსულთან, რომელიც მომავლისთვის გვჭირდება






*ხუთი წლის პაუზის შემდეგ იოჰან ბოსკამპი წუხელ საქართველოში დაბრუნდა. „აირზენას“ბოინგი თბილისის აეროპორტში ღამის სამის ნახევარზე დაეშვა. ბოსკამპს ძველი მეგობრები დახვდნენ — ზაზა ბოკერია და გია გეგუჩაძე. ძველებურად ემოციური, მომღიმარი ჰოლანდიელი საქართველოში ახალი საქმით და ჟინით დაბრუნდა: ახალგაზრდული ნაკრები და ჯერაც გასაიდუმლოებული ქართული კლუბი. ამ ყველაფერს პასუხი სფფ-ის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან შეხვედრის შემდეგ გაეცემა.*

*— მოხარული ვარ, რომ საქართველოში დავბრუნდი. აქ ბევრი მეგობარი მყავს და ძალიან მსიამოვნებს, რომ ისევ მათ გვერდით ვარ.*

*— ახალგაზრდულ ნაკრების გარდა ქართული კლუბის გაწვრთნაზეცაა ლაპარაკი. რაიმეს ხომ ვერ გაგვიმხელთ?*

*— ჯერჯერობით ახალს ვერაფერს გეტყვით. ყველაფერი მერაბ ჟორდანიასთან საუბრის შემდეგ გაირკვევა. პრეზიდენტს ხვალ შევხვდები.*

*— ბოლოხანს ჯანმრთელობას უჩიოდით, ოპერაციაც დაგჭირდათ, ახლა როგორ გრძნობთ თავს?*

*— გმადლობთ, არაფერს ვუჩივი. სამუშაოდ მზად ვარ და საქართველოშიც ამიტომ ჩამოვედი.*

# შამპანიკა დინამოში

## ვინ დალევს პატარკაციშვილთან? ვინ იძნება საცოზი?





# ვინ მოიგებს დინამოს?

*„დინამომ" სეზონი ისე დაიწყო, ჯერ მოგების გემო არ იცის. გუნდი შეჩვეული პირველი ადგილიდან მესამეზე დაცურდა. ოთხქულიანი უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა. და აგორდა ხმები გუნდიდან ივო შუშაკის გაშვების შესახებ. თანაც, უკვე თბილისშია ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი და ხორვატის ადგილს სწორედ მას უწინასწარმეტყველებდნენ...*



„დინამოში" აღარ ეღიმებათ...

კლუბში კი ოფიციალურად არც შუშაკის გაშვების ვარიანტს ადასტურებენ და არც ბოსკამპის მოყვანისას. ამ თემაზე ლაპარაკს გაურბის ყველა, უმცროსიც და უფროსიც, ზემდგომიც და ქვემდგომიც. მაგრამ არის ხმები, რომლებიც ჰაერივით ყველგან ჟონავს...

ახლა, ფაქტობრივად, ყველასთვის ცნობილია, რომ შუშაკს და „დინამოს" დირექტორატს არცთუ საუკეთესო ურთიერთობა აქვთ. როგორც შევიტყვეთ, ხორვატისთვის პირველი ულტიმატუმი „თბილისთან" საშინაო მატჩისას წაუყენებიათ — წააგებ, წახვალო. ის თამაში 2:2 მორჩა. შუშაკმა კი თავის ქართულ კარიერაში პირველად ახსენა მსაჯთა მიკერძოება და ასეთი რამაც თქვა, შეცდომა ხდება, მაგრამ ვშიშობ, ეს ყოველივე უფრო შორს მიმავალი გეგმები არ იყოსო.

იმავე ხმების მტკიცებით, „დინამოს" დირექტორატს შუშაკისთვის მეორე „შანსიც" მიუცია და ეს 16 აპრილის ეროვნული ჩემპიონატის საშინაო მატჩი იქნება გორის „დილასთან". საეჭვოა, თავმოყვარე ხორვატი ულტიმატუმების ენაზე საუბარს შეეგუოს, მით უმეტეს, რომ მისი გადაბირების სურვილი ახლავე აქვს რუსეთის პრემიერლიგის სამ კლუბს, სადაც მწვრთნელის ხელფასი საგრძნობლად მეტია, ვიდრე „დინამოში". რით მოაწონა შუშაკმა რუსებს თავი, ცნობილი ამბავია: საქართველო—რუსეთი 1:0. ნიშანდობლივია „ნტვ-ფუტბოლის" მიმომხილველის ალექსეი ანდრონოვის სიტყვები — „ნამ ბი ტაკოვა შუშაკა" — თქმული ესენგეს თასის ფინალის შემდეგ.

შუშაკი რომ „დინამოში" არ უნდოდათ, იქიდანაც ჩანს, რომ გაუყი[illegible], რომლებიც „დინამოში" დარჩენაზე უარს არ იყვნენ, რადგან მათთვის სასურველი კლუბები ამ ეტაპზე არ გამოჩნდა. ალექსიძეს სულაც უთხრეს, თუ დარჩები, მაშინ ხელფასს გაგინახევრებთო — ამასაც ირწმუნება ზოგი საქმეში ჩახედული.

იმავე ხმების თანახმად, „მომავლის" „დინამოში" ადგილი კიდევ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელისთვის არ გამოიძებნება. ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რომ „დინამოს" წამყვანი ფეხბურთელები ნდობას უცხადებენ ხორვატს.

გუშინ „დინამოში" დიდი მოძრაობა იყო, ანტიშუშაკური და შუშაკური კოალიციები რიგ-რიგობით აწუხებდნენ ბადრი პატარკაციშვილის ჰოლდინგში საქმის კურატორთ. რა იქნება? ვინ ვის?

**დავით ერაძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# ოსმალოს ახალი ფაშა საქართველოზე მოდის
## ერსუნ იანალმა გენჩლერი რვა მილიონში გაცვალა

### თურქეთი

**თურქეთის** ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — 43 წლის ერსუნ იანალი. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუკ ულუსოიმ „გენჩლერბირლიგის" თავკაცი ორდღიანი მოლაპარაკების შედეგად დაითანხმა და ახალგაზრდა მწვრთნელს ეროვნული გუნდი ოთხი წლით ჩააბარა.

თურქული პრესის ცნობით, კონტრაქის თანამხმად ახალი თავკაცი წელიწადში ორ მილიონ დოლარს მიიღებს. გარდა ამისა, ყველა ასაკის ნაკრების მწვრთნელების დანიშვნაში ჩაერევა და თანაშემწეებსაც თვითონ შეარჩევს.

1961 წლის 17 დეკემბერს იზმირში, ელექტრიკოსის ოჯახში დაბადებულ იანალს დიდ გუნდებში არასოდეს უთამაშია. საცხოვრებლად დენიზლიში გადასული ოჯახის შვილმა მთავარმწვრთნელობის გემო 1997-98 წლებში გაიგო, როცა „დენიზლისფორი" ჩააბარეს. მანამდე მან ინგლისში ორთვიანი კურსის გავლა მოასწრო.

ამ საუკუნის დასაწყისში სამუშაოდ „ანკარა გიუჯუში" გადავიდა, შემდეგ კი დედაქალაქისავე „გენჩლერბირლიგში".

მისი წარმატებები სწორედ ამ გუნდს უკავშირდება.




ამ სეზონში უეფას თასზე „გენჩლერმა" რამდენიმე ძლიერი მეტოქე დაიფრინა და ბოლოს ლამის „ვალენსიაც" გაწეწა. კლუბის პრეზიდენტ ილჰამ ჯავჯავს იანალის გაშვება ძალიანაც არ სურდა, მაგრამ ეროვნული ნაკრების ინტერესებს ვერ გადააბიჯა.

უახლოეს ამხანაგურ მატჩს ერსუნ იანალის თავკაცობით თურქები აპრილის ბოლოს ბელგიასთან გამართავენ.

**რომან თურქია**

# ყაზახებს ნავსი დაუძველდათ

### ყაზახეთი

**მსოფლიოს** 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე ყაზახეთი 28 აპრილს ამხანაგურად აზერბაიჯანს გაეჯიბრება. მატჩი ალმათის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდება.



ლეონიდ პახომოვი

ლეონიდ პახომოვის გუნდისთვის წლეულს ეს მეოთხე სპარინგია. მანამდე, გეხსომებათ, ყაზახები კვიპროსის ტურნირზე მონაწილეობდნენ და რვა გუნდში მეექვსე ადგილზე გავიდნენ. შეგახსენებთ, კვიპროსზე საქართველომაც „ითამაშა" და ბოლო ადგილს ვერ ასცდა.

აზერბაიჯანთან თამაშს კი აზიელებისთვის დამატებითი სტიმულიც აქვს. საქმე ისაა, რომ ყაზახეთის ნაკრებს ოფიციალურ თუ ამხანაგურ მატჩებში 2001 წლის 23 აპრილის მერე არ მოუგია. მაშინ ყაზახებმა მაკაო დაიბრიყვეს — 5:0. მას შემდეგ სამ წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ყაზახეთმა კიდევ 12 მატჩი ითამაშა — აქედან 5 ფრე იყო, 7 შეხვედრა კი წააგო.

ერთი სიტყვით, ნავსი აზერბაიჯანთან უნდა გატყდესო, თქვეს მასპინძლებმა და საამმატჩოდ კბილებს ილესავენ. ლეონიდ პახომოვს ნაკრების შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, თუმც, ჟურნალისტთა თქმით, მთავარი ბირთვი ალმათის „ყაირათის" ფეხბურთელებისგან შეიკვრება.

**კახა შალამბერიძე**

# ავარია: ოლეგ ბლოხინი გულშემატკივარს დაეჯახა

### უკრაინა

**უკრაინის** ნაკრების მწვრთნელის ოლეგ ბლოხინის უიღბლობა გრძელდება. ჯერ იყო და, უკრაინელმა ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა იგი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ლიბიასთან და მაკედონიასთან ვერმოგებისთვის, გუშინ კი...

გუშინ მომხდარი ფეხბურთს საერთოდ არ ეხება და ბედი ბლოხინისა, რომ ახლა ცოცხალია. საქმე ისაა, რომ იგი ავარიაში მოჰყვა და ახლა ექიმები დასტრიალებენ თავს.

დიდი სიჩქარით მიმავალი ჯიპი „ჰამერი", რომელსაც ქვეყნის ეროვნული გუნდის თავკაცი ოლეგ ბლოხინი მართავდა, კიევის ერთ-ერთი უბნის, „ოსოკორკას" ტრასაზე შემხვედრ „ტავრია ოკას" დაეჯახა. საცოდავი „ტავრია" ამოყირავდა და ერთ-ერთ კაფეს შეასკდა. მხილველთა თქმით, კაფე მთლიანად, ხუხულასავით დაიშალა და შიგნით მყოფნი მხოლოდ იღბლის წყალობით გადარჩნენ. რამდენიმე წუთში სასწრაფო დახმარების მანქანაც გაჩნდა და პოლიციაც. ექიმებმა „ტავრია ოკას" მძღოლი ტვინის შერყევის ნიშნებით საავადმყოფოში გააქანეს, პოლიციელები კი, ცხადია, მომხდარით დაინტერესდნენ.

ბლოხინის „ჰამერი" კი ისეა დამტვრეული, ან გაკეთდება, ან არა. „ჰამერში" ბლოხინის გარდა კიდევ რამდენიმე კაცი მჯდარა, და ოლეგ ვლადიმიროვიჩის მსგავსად მათაც დაკითხავენ.



ოლეგ ბლოხინის ნაავარიევი „ჰამერი"

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXXIII ტური

ლიდსი 1:1 ევერტონი

მანჩესტერ იუნ. 1:0 ლესტერი

I დივიზიონი. XLII ტური

უიგანი 3:0 კარდიფი

II დივიზიონი. XLII ტური

ბრისტოლი 1:0 პლიმუთი

III დივიზიონი. XLII ტური

იორკი 1:1 ბერი

კონფერენსლიგა. XL ტური

შრიუსბერი 0:0 ჩესტერი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა

გადადებული მატჩები

კონკორდია 1:1 კიასო

დელემონი 1:2 შაფჰაუზენი

ანიო 2:1 სიონი

ვინტერთური 2:1 შო დე ფონი

ვოლენი 2:1 ივერდონი

### ირლანდია

პრემიერლიგა. VI ტური

ბოჰემიანსი 0:1 დროჰედა

ლონგფორდი 1:3 სენტ პატრიკსი

დუბლინი 0:2 დერი სიტი

### შოტლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

დანფერმლაინი 1:1 ჰიბერნიანი

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩი

ინვერნესი 1:0 ბრეჩინი

მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩი

ფორფარი 2:0 ალოა

### ავსტრია

I დივიზიონი. XXIX ტური

ტიროლი 2:0 აუსტრია (ლ)

ბლაიბერგი 2:1 ვიორგლი

ლუსტენაუ 1:1 რიდი

კაპფენბერგი 3:1 უნტერზიბენბრიუნი

ლინცერი 1:1 ლეობენი

### პოლონეთი

თასის 1/2 ფინალი

პირველი მატჩი

იაგელონია — ლეგია *0:2-ზე ჩაიშალა*

### გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩი

ზიგენი 3:2 ზაარბრიუკენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი 15 ლიგა 1 ტური
მეორე ეტაპი გადადებული მატჩი

ბათუმი. 13 აპრილი. 16 საათი. დინამო. 300 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:0 სპარტაკი

1:0 დარჩიძე (55)

ბათუმი: ქვაჩახია, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, მანჩხავა, ქაცარავა, გვიანიძე, დარჩიძე, სირბილაძე, ფირცხალაიშვილი, გალოგრე, მახარაძე
*სათადარიგონი:* შერიფაძე; ბეჟანიძე, იალამიძე, თ. ნემსაძე, ფურცხვანიძე, მ. სალუქვაძე
მწვრთნელები: ვალერიან ჩხარტიშვილი და ასლან ბალაძე

სპარტაკი: დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ა. იმნაიშვილი, ჩიკვილაძე, პაპუაშვილი (მაღლაფერიძე 71), კ. შალამბერიძე (ტატანაშვილი 62), მჭედლიშვილი, ჯანგიძე, მუშკუდიანი, გრძელიძე
*სათადარიგონი:* კვერენჩხილაძე, ი. სამხარაძე, ტაბიძე, ს. შელია
მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა

გაფრთხილება: გვიანიძე (7), გალოგრე (80), მანჩხავა (88)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე



პირველ ტურში ბათუმში ჩასულ „სპარტაკს" ავდარი და ტბორი დახვდა

# დაპირდალე!

## სპარტაკი ველარ აჯანყდა

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**უამინდობის** გამო პირველი ტურის გადადებული მატჩი „ბათუმი"—„სპარტაკი" გუშინ ჩატარდა. მთელი თამაში ბათუმელთა უპირატესობით გაილია, რაც ერთადერთი გოლით აისახა. არადა აკაკი დევაძეს რომ არ ეყოჩაღა, მასპინძელი გაცილებით სოლიდურად მოიგებდა.

ოცდახუთი წუთის განმავლობაში ფეხბურთელები მოედნის შუაგულს ტკეპნიდნენ. მერე „ბათუმი" გონს მოეგო და უფრო აქტიურად შეუტია. ბათუმელთა კაპიტანი ვანო მახარაძე კარგად შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმოში, ძლიერად დაარტყა, მაგრამ დევაძემ იხსნა კარი.

28-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან დარჩიძემ გამოზომილი პასი მისცა სირბილაძეს, რომელმაც შეუჩერებლად დაარტყა, ბურთი უხერხულად აუსხლტა ფეხიდან დევაძეს, ხარიხას მოხვდა და კუთხურზე გადავარდა. მოკლედ „ბათუმი" უტევდა, აშკარად გადაღლილი „სპარტაკი" კი საერთოდ ვერაფერს ქმნიდა. ხურცილავას გუნდმა ტაიმის ბოლოსლა გამოაჩინა ბრჭყალი: მუშკუდიანი მეკარის საჯარიმოში შეიჭრა, მოხდენილი ფინტით ერთი მცველი ჩამოიშორა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმა დააგვიანა.

ეს იყო და ეს. პირველ ტაიმში ფეხბურთელებმა მეტი ვერაფერი შეძლეს.

მეორე ტაიმიც პირველივით იყო. „ბათუმი" უტევდა, „სპარტაკი" თავს იცავდა. 55-ე წუთზე კი მასპინძლებმა ნანატრი გოლი გაიტანეს. მანჩხავამ ბურთი კუთხურიდან მოაწოდა და დარჩიძის გაწოლილ თავურს დევაძე ველარ გადაუდგა. 70-ე წუთზე ფირცხალაიშვილს კარგი მომენტი ჰქონდა, ათი მეტრიდან დაარტყა, მაგრამ დევაძე ლამაზ ნახტომში დაეუფლა ბურთს. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე დარჩიძემ სამ მეტოქეს დაასხა რეტი ლამაზი ფინტებით და საგოლედაც დატოვა ფირცხალაიშვილი, მაგრამ ამის დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

### VII-XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 27 |
| ბათუმი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 22 |
| მცხეთა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 18 |
| კოლხეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 15 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:2 | 12 |
| მერცხალი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 6 |

### საუკეთესო

*ვიტალი დარჩიძე*

*წინა ტურის მსგავსად ბათუმელთაგან კვლავაც ვიტალი დარჩიძე გამოირჩა. ზღვისპირელთა ნახევარმცველმა ლამაზი გოლით და ეფექტური პასებით გამოიჩინა თავი.*

*დარჩიძის წყალობით „ბათუმმა" თამაში დაალაგა და მცირე შანსიც არ დაუტოვა მეტოქეს.*



# გურამ რუხაძე: ჩემპიონობისთვის ფსიქოლოგიურად მზად არ ვართ



*თბილისური „ვიტ ჯორჯია" დაარსებიდან დღემდე ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კლუბია საქართველოში. ვეტერინარული ამბები მუდამ საინტერესოა ქართველი გულშემატკივრისთვის, მით უმეტეს, ბოლოხანს გუნდში ბევრი რამ შეიცვალა — თუნდაც ის, რომ ზურაბ ბერიძის ნაცვლად „ვიტ ჯორჯიას" მერაბ კოჭლაშვილი წვრთნის. ამ და სხვაზე კლუბის პრეზიდენტზე უკეთ ვინ გვეტყოდა და ჩვენც გუშინ გურამ რუხაძეს ოფისში ვესტუმრეთ...*

## ბავშვი და სამოსი: ვიტ ჯორჯია იზრდება, მწვრთნელი ვერა

— არცთუ დიდი ხნის წინ „ვიტ ჯორჯიამ" მწვრთნელი შეიცვალა. რას იტყვით ზურაბ ბერიძის დროინდელ გუნდზე, კმაყოფილი ხართ?

— აქ ორი ეტაპია გამოსაყოფი. ჩემპიონატის პირველი ეტაპი და წლევანდელი სტარტი, სანამ ბერიძე გადადგებოდა. პირველი ეტაპით კმაყოფილი ვარ, მეორე ადგილზე გავედით. მართალია, „დინამოს" ოთხი ქულით ჩამოვრჩით, მაგრამ მთლიანობაში სასაყვედურო არაფერი მქონია. მხოლოდ ქულები ხომ არ წყვეტს ყველაფერს. ჩვენთვის თამაშის ხარისხიც მნიშვნელოვანია. მერე საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ ანთალიაში და... სამწუხაროდ, სეზონი ცუდად დავიწყეთ. ვერ მოვუგეთ „სიონს", დავმარცხდით „სპარტაკთან" და „თბილისთან"... თან ამ სამ მატჩში გოლიც კი ვერ გავიტანეთ. ამას მოჰყვა ბერიძის გადადგომა. ერთი სიტყვით, პირველი ეტაპისგან განსხვავებით, წლევანდელი სტარტით ძალიან უკმაყოფილო დავრჩი.

— და მაინც, როგორ ფიქრობთ, ზურაბ ბერიძის გადადგომა დროული იყო თუ ნაჩქარევი?

— აქ უფრო სხვა ფაქტორებმა „იმუშავა". „თბილისთან" წაგების მერე ზურას შევხვდი და დავინახე, რომ კაცმა გადადგომა გადაწყვიტა. მისი ნაბიჯი მტკიცე იყო. ზურასთვის ორჭოფობა ან მსგავსი რამ რომ შემეტყო, ეგებ მეთხოვა, მთავარ მწვრთნელად დარჩენილიყო, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ მან გადაწყვეტილება თავად მიიღო, წინააღმდეგობა აღარ გამიწევია.

— „ვიტ ჯორჯია" ყოველთვის „გამოირჩეოდა" მწვრთნელების ხშირი ცვლით. რატომ ვერ ძლებენ ამ გუნდში მწვრთნელები დიდხანს, თუნდაც ზედიზედ ორი სეზონი?

— გეთანხმებით, გუნდს თავკაცი ხშირად ეცვლება. ერთადერთმა, ჯანი კარნევალიმ იმუშავა შედარებით დიდი ხნით ჩვენთან. საერთოდ, გუნდი მზარდი ორგანიზმია, მით უმეტეს, „ვიტ ჯორჯია", სადაც ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია და წლიდან წლამდე პროგრესს განიცდის. ამას მწვრთნელი უნდა აჰყვეს. ეტყობა, აქამდე სწორედ ასეთი პრობლემები იყო. მწვრთნელი არ უნდა ჩამორჩეს გუნდის დონეს.

— ყოველწლიურად „ვიტ ჯორჯიაში" ახალი ფეხბურთელები ჩნდებიან. წლევანდელი სელექციით კმაყოფილი ხართ?

— ვფიქრობ, ჩვენი ინფრასტრუქტურა საქართველოში საუკეთესოა. გვყავს ორი ფარმკლუბი პირველ ლიგაში: თსუ და „ვიტ ჯორჯია-მცხეთა". ასევე სამი ასაკობრივი გუნდი, რომლებიც თავიანთ ლიგებში ლიდერები არიან. ამათგან შევსებას სისტემატურად ვიღებთ. წლეულს ექვსი ახალწვეული გვყავს — კუპრეიშვილი, კვარაცხელია, მალიჩავა, ებანოიძე, ბედიაშვილი და შენგელია. უკმაყოფილო არც ერთს დავუტოვებივარ. ასე რომ, ამ სეზონში კარგად ვიმუშავეთ.

— ცოტა ხნის წინ „ვიტ ჯორჯიას" თამაშს დონეცკის „შახტარის" სელექციონერები დაესწრნენ. მათთვის საინტერესო ფეხბურთელები ჩვენთვის ცნობილია: ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილი... სერიოზული დაინტერესების შემთხვევაში შეელევით ამ ბიჭებს?

— წინადადებას გააჩნია. თუ უკრაინელები მისაღებ პირობებს შემოგვთავაზებენ, უარს ნამდვილად არ ვიტყვით. მისაღებ პირობებში, ცხადია, ფინანსურ მხარესაც ვგულისხმობ და ფეხბურთელების მომავალსაც. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩვენი ბიჭები კარგ გუნდში წავლენ. ამ მხრივ „შახტარის" ვარიანტი დასაწუნი არ არის. უკრაინელებთან მოლაპარაკებას ახლაც ვაგრძელებთ და იმედი მაქვს, წარმატებითაც დავასრულებთ. ოღონდ ეს ამ სეზონში არ მოხდება. ჩემპიონატი დამთავრდეს და მერე უფრო კონკრეტულ პასუხს გაგცემთ.

— ბოლო წლებია, „ვიტ ჯორჯიას" ნაბიჯილა აკლდება ჩემპიონობამდე. შთაბეჭდილება იქმნება, რომ გუნდი არ არის მზად საამისოდ...

— მეც ვფიქრობ, რომ ჯერ ფსიქოლოგიურად არ ვართ მზად ჩემპიონობისთვის. გუნდში ძალიან ბევრი ახალგაზრდაა. ბოლო თამაშის ოქმი ნახეთ, 18 ფეხბურთელის საშუალო ასაკი 22 წელია. ალბათ ეს ფაქტორი ხელწამოსაკრავი არ არის.

— კი მაგრამ, ხომ შეიძლება „ერთი ნაბიჯის" შეცდომის გამოსწორება? ბოლო ორ სეზონში კი „ვიტ ჯორჯიამ" ერთი და იგივე შეცდომა დაუშვა...

— ვნახოთ, რა იქნება. ცხადია, კარგია, როცა გუნდს ერთადერთ მიზნად ჩემპიონობა აქვს დასახული, მაგრამ მე მხოლოდ ამ მიმართულებით არ ვიყურები. ჩემპიონი თუ გახდები, მერე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობა გიწევს. აი, ჩემპიონობასაც მაშინ აქვს გემო, როცა იმ საკვალიფიკაციოს გაივლი.

— და როდის იქნება „ვიტ ჯორჯია" მზად საამისოდ?

— ამ კითხვაზე დღეს ნაღდად ვერ გიპასუხებთ.

— „ვიტ ჯორჯიას" თამაშს ყველაზე დიდ დაღს ალბათ უხარისხო მოედანი აჩენს. ამ მხრივ თქვენ არცთუ სახეირო სიტუაციაში ხართ, საშინაო სტადიონი „არმაზი" უვარგისია...

— ვფიქრობ, ეს მთლიანად ქართული ფეხბურთის პრობლემაა. საქართველოში ერთადერთი ნორმალური საფარი „ისანზეა", დანარჩენებზე ფეხბურთის თამაში შეუძლებელია. ამ პრობლემას სერიოზული ინვესტიციების გარეშე არ ეშველება.

— პროფლიგის გადაწყვეტილებით, თუ კლუბების მოედნები შესაბამის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, ახალ სეზონში ამ სტადიონებზე თამაში აეკრძალებათ...

— არა მგონია, პროფლიგას ასეთი ტონით ეთქვა ამის შესახებ. ასეთ შემთხვევაში არც ერთ სტადიონზე არ ჩატარდება თამაში. სხვა გზები უნდა ვეძიოთ. ეს მარტო კლუბების პასუხისმგებლობა როდია, გარკვეულწილად პროფლიგასაც ეხება.

— ათგუნდიან ჩემპიონატზე გადასვლა უკვე აქტუალური საკითხია. „ვიტ ჯორჯიას" პოზიცია როგორია ამ მხრივ?

— ეს ჩვენი წინადადება არ ყოფილა, მაგრამ წინააღმდეგი არ ვიქნები.

— თუ „ვიტ ჯორჯიამ" უეფას თასის საგზური მოიპოვა, ფეხბურთელების მოსალოდნელი ტრანსფერები მაინც შედგება?

— არავითარ შემთხვევაში! შემადგენლობას აუცილებლად შევინარჩუნებთ და ალბათ გავძლიერდებით კიდეც.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაჩანა კათოლაძის ფოტო

გოგა ფიფიამ (მარცხნივ) გერმანიაში ბურთის გაფრთხილება ისწავლა

# სადილი კლოზესთან და სწორი ფეხბურთი გერმანია ჩემში 250 000 € ითხოვდა

*ახალგაზრდულ და საინტერესო გუნდ „თბილისს" მეორე ეტაპისთვის ახალგაზრდა და საინტერესო ფორვარდი შეემატა — 19 წლის გოგა ფიფია, ვინც „თბილისში" „კაიზერსლაუტერნიდან" გადავიდა და გოგასაც მეტწილად ლაუტერნული ამბები მოვაყოლეთ...*

— ოთხი წლის წინ ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებთან ერთად დანიაში ვიყავი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, სადაც მელორ ბიგვავამ „კაიზერსლაუტერნის" სელექციონერი მოიყვანა და მაშინ გადაწყდა ყველაფერი. თუმც გერმანიაში 2002-03 წლების სეზონისთვის გადაველი — წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გამიფორმეს.

— „კაიზერსლაუტერნის" რომელ გუნდში გიწევდა თამაში?

— ცხრამეტწლამდელთა გუნდში ვთამაშობდი, რომელიც ახლა რეგიონალლიგაში გამოდის. მანამდე კი აიუგენდის ლიგაში ვთამაშობდით, სადაც ბუნდესლიგის კლუბების ცხრამეტწლამდელთა გუნდებია თავმოყრილი — 12 თამაშში 7 გოლი გავიტანე.

— „კაიზერსლაუტერნის" პირველ გუნდთან თუ გქონდათ რაიმე კავშირი?

— პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელი მაშინ ერიკ გერეტსი იყო. ის ჩვენს ვარჯიშებსა და თამაშებს აკვირდებოდა. კლუბის ბაზაზე კი პირველ გუნდთან ერთად ვსადილობდით. „ლაუტერნის" პირველი გუნდის ფეხბურთელებთან საკმაოდ კარგი და ახლო ურთიერთობა მქონდა. „კაიზერსლაუტერნში" ყურადღების ცენტრში მიროსლავ კლოზე გახლავთ, მას ყველა განსაკუთრებულად ექცევა.

— იქ გატარებულმა წელიწადნახევარმა რა შეგძინა?

— ჩემში, ასე ვთქვათ, სწორი ფეხბურთის თამაში ჩაჯდა.

— ეს იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ „ლაუტერნში" რაღაც-რაღაცეებს გიკრძალავდნენ?

— თამაშის საკუთარ თავზე აღება და მეტოქის მოტყუება მიყვარს, რასაც იქ გადამაჩვიეს, რადგან გერმანიაში ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ ბურთის არდაკარგვას — ბურთის შენარჩუნება და სისწრაფე — ეს არის მთავარი. ქართულ ჩემპიონატში კი სისწრაფე და აგრესიულობა ნაკლებია.

— რაც „თბილისში" ხარ, მატაობას და თამაშის საკუთარ თავზე აღებას არ ერიდები...

— ჩემი კოზირიც ისაა, რომ გადაწყვეტილება უცბად მივიღო და მოედნის პატარა ფართობზე მოვახერხო ყველაფერი — კაცის მოტყუება და კარში დარტყმა.

— „კაიზერსლაუტერნთან" კონტრაქტის გაგრძელება რატომ ვერ მოხერხდა?

— აიუგენდის ლიგიდან რეგიონალლიგაში უნდა მეთამაშა, რადგან უკვე შემისრულდა 19 წელი. რეგიონალლიგაში თამაშისთვის კი უკვე პროფესიული კონტრაქტია საჭირო და თუ არაევროკავშირელი ხარ, ასეთი კონტრაქტისთვის სახელმწიფომ 250 000 ევრო უნდა მიიღოს. ეს თანხა კლუბის გადასახდელია, მაგრამ ამხელა ფულს მხოლოდ მაშინ იხდიან, თუ პირველ გუნდში თამაშობ, მე კი ამისთვის მზად არ ვიყავი. სხვათა შორის, ცენზი ხელფასზეცაა დაწესებული — პროფკონტრაქტით მინიმალური ანაზღაურება თვეში 2 500 ევრო უნდა იყოს.

— ქართული გუნდებიდან მაინცდამაინც „თბილისში" რატომ გადახვედი?

— „თბილისის" მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს ბავშვობიდან ვიცნობ — როცა ბავშვთა ლიგის გუნდ „ირაოში" ვთამაშობდი, ის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იყო. კმაყოფილი ვარ, რომ ახლა დევდარიანის გუნდში ვთამაშობ.

**დავით თავართქილაძე**

# მზად ვარ!

## ჩიხრაძემ თანაგუნდელებს თვალებში ჩახედა

*ქართველ მწვრთნელთა ამქარს ახალი წევრი შეემატა — გიორგი ჩიხრაძემ ორშაბათს პირველი ვარჯიში ჩაატარა, უკვე დღეს კი საჩხერეში „ამერს" „ჩიხურას" წინააღმდეგ გაიყვანს. „ამერის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნით გიორგი ჩიხრაძემ ფეხბურთელის კარიერაც დაამთავრა, არადა, რამდენიმე დღის წინ მის ცხოვრებაში ასეთი ელვისებური ცვლილება თუ მოხდებოდა, ვერც წარმოედგინა...*



— ყველაფერი ძალიან სწრაფად და მოულოდნელად მოხდა. წინა ხუთშაბათს მოედანზე ვიყავი და ვთამაშობდი, ახლა კი ჩემს გუნდს სათადარიგოთა სკამიდან უნდა ვუხელმძღვანელო.

**— მაგრამ მწვრთნელობაზე ალბათ ფიქრობდით და ამის თაობაზე კლუბში ლაპარაკი გექნებოდათ...**

— მწვრთნელობაზე ვფიქრობდი, ოღონდ ასე სწრაფად თუ მოხდებოდა, არ მეგონა. ფეხბურთელის კარიერის დამთავრებას სეზონის ბოლოს ვაპირებდი, მერე მინდოდა მესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ მომეკიდა სამწვრთნელო საქმისთვის ხელი. მაგრამ „ამერის" ხელმძღვანელობამ უკვე ახლა შემომთავაზა გუნდის მთავარი მწვრთნელობა, რაც, გავიმეორებ, მოულოდნელი იყო.

**— თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება არ გაქვთ, დათანხმდით...**

— დიახ, გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სრულიად მოუმზადებელი ვარ. ჩემს ასაკში, როცა უკვე კარიერის დასრულებას აპირებ, მომავალზე იწყებ ფიქრს. მე დიდი ხანია გადაწყვეტილი მქონდა, რომ მწვრთნელი უნდა გავმხდარიყავი და ამისთვის ვემზადებოდი. ბევრ გუნდში მითამაშია და ბევრი მწვრთნელი მყოლია. მათ ვარჯიშებს და სათამაშო სქემებს ვაანალიზებდი და ჩემთვის რაღაც მონახაზებს ვაკეთებდი. აქედან გამომდინარე, გარკვეული თეორიული ცოდნა დამიგროვდა და ფსიქოლოგიურადაც მწვრთნელობისთვის მზად ვარ.

**— თქვენი ცოდნა სერიოზული მიზნების მისაღწევად რამდენად საკმარისია?**

— თავისთავად ცოდნა ამომწურავი არასდროს არ არის და მისი გაღრმავება სისტემატიურად საჭიროა. თუ მწვრთნელი ჩათვლის, რომ ყველაფერი იცის, საქმე უკან წავა და გუნდი ვერაფერს მიაღწევს.

**— ფეხბურთელები თქვენს დანიშვნას როგორ შეხვდნენ?**

— ეს გადაწყვეტილება, ცხადია, ბიჭებისთვისაც მოულოდნელი იყო. ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ჩემი დანიშვნით გუნდში ემოციური ფონი გაუმჯობესდება.

**— რამდენიმე დღის წინ მათი თანაგუნდელი იყავი. ეს პირიქით ხომ არ იმოქმედებს, ანუ დისციპლინა ხომ არ შესუსტდება?**

— გამორიცხულია. როდესაც ემოციური ფონის გაუმჯობესებაზე ვლაპარაკობ, ურთიერთობაში მეტ გულახდილობას ვგულისხმობ. ეს ბუნებრივია, რადგან ამდენი ხანი ერთად ვთამაშობდით. დისციპლინა კი იმიტომ არ შესუსტდება, რომ ყველასთან მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, მომთხოვნი ვარ. ასე ვიტყოდი — მიმართვა მეგობრული მექნება, მოთხოვნა კი მკაცრი. თანაც ჩემს სიტყვას აქამდეც, როცა კაპიტანი ვიყავი, ანგარიშს უწევდნენ.

**— როცა მთავარ მწვრთნელად დაგნიშნეს, ხელმძღვანელობამ რა მიზნები დაგისახათ, ამ სეზონში რომელი ადგილი დაგაკმაყოფილებთ?**

— ამაზე საუბარი არ გვქონია და პროგნოზის გაკეთებაც არ მინდა. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყოველ მატჩში ჩვენ მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ.

**— პრეზიდენტმა მთავარ მწვრთნელად რომ წარგადგინათ, ფეხბურთელებს რა უთხარით?**

— ბევრი არ მილაპარაკია. ვუთხარი, რომ ჩვენს შორის განსხვავება ახლა მხოლოდ ისაა, რომ აქამდე ერთად ვიდექით და მწვრთნელს ერთად ვუყურებდით, ამიერიდან კი სახით პირისპირ ვიდგებით და ერთმანეთისთვის თვალებში შეხედვის არ უნდა შეგვრცხვეს.

**კოტე კეკელია**



ბაჩანა კათოლაძის ფოტო

მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძის პირველი ამერული ვარჯიში

# ჩვენი ფეხბურთი ჩვენს ტელევიზორში

ლიგა

სადაც დაძაბულობა და ინტრიგაა, ინტერესიც იქაა. ჩემპიონატის წინა ტურმა ისე ჩახლართა სატურნირო ვითარება, ერთბაშად ოთხ გუნდს გაუჩნდა ჩემპიონობის მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი. მოკლედ, ინტრიგა გვარიანია, შესაბამისად ინტერესიც გაიზარდა და ერთბაშად ორი ქართული ტელეარხი პირდაპირ ეთერშიც გადასცემს პარასკევის ტურის ორ შეხვედრას.

სააპრილო დროს, 4 საათზე დაიწყება 16 აპრილს „დინამო" — „დილას" მატჩი და ამ თამაშს „ლაივში" ტელეკომპანია „იმედი" გადასცემს. იმ დღესვე, ორი საათით გვიან დაიწყება „ლოკომოტივი" — „ვიტ ჯორჯია". გულშემატკივარს თამაშის ნახვა პირველ არხზე შეეძლება.

ეს მატჩი ვაკეში ჩატარდება და ვინაიდან ამავე სარბიელზე გადმოინაცვლა „მცხეთამაც", ეს გუნდი ტურის შეხვედრას „მერცხალთან" 17 აპრილს გამართავს. მატჩი 16 საათზე დაიწყება.

**პაატა ქვანტალიანი**

# უეფას თასი 2003-2004. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

ვალენსია (ესპანეთი) – ბორდო (საფრანგეთი) (2:1)

## მიშელ პავონი ვალენსიაში ბორდოს ფორმას ჩაიტანს




მარუან შამახს ყვითელი ბარათი უთამაშებლობად დაუჯდა

ერთი კვირის წინ „ვალენსია" ბორდოს რომ ეწვია, რაფაელ ბენიტესის გუნდი პრიმერადივიზიონში მეორე ადგილზე იყო. დღეს ფრანგებს „მესტალიაზე" უკვე ესპანეთის ჩემპიონატის ყოჩი დაუხვდებათ.

„ვალენსია" შესანიშნავ ფორმაშია და „ბორდოს" ნახევარფინალში გასვლის ძალიან მცირე შანსი აქვს. მასპინძლებს ყველა რგოლში რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ, რომლებსაც მწვრთნელი მატჩიდან მატჩამდე ცვლის, მაგრამ მაინც კარგ შედეგს აღწევს. დამხვდურებს დღეს ორი მოთამაშე დააკლდებათ: პაბლო აიმარი და მოჰამედ სისოკო.

სტუმართა დანაკლისი გაცილებით დიდია. მიშელ პავონს ექიმები ჯერ კიდევ პირველი მატჩის წინ აიმედებდნენ, ჟან კლოდ დარშევილი გამოჯანმრთელდებაო. „ბორდოს" მთავარმეგოლის გარეშე შეტევაში აშკარად უჭირს. დარშევილი „მესტალიაზეც" ვერ ითამაშებს. მეორე ფორვარდ მარუან შამახს და მცველ ფრანკ ჟურიეტს ყვითელი ბარათები დაჰგროვებიათ და შეხვედრას ამის გამო გამოტოვებენ.

ნახევარმცველმა რიო მავუბამ გუნდი პირველივე მატჩში დაალალატა, როცა „ბორდო" იგებდა და იგი უხეშობისთვის გააძევეს. კიდევ ერთი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელის, დავიდ ჟემალის თამაშიც საეჭვოა.

სტუმართა მწვრთნელს, ფაქტობრივად, განახევრებული გუნდი ეყოლება. მიშელ პავონი ყმაწვილ არგენტინელ ფორვარდ პაბლო ფრანსიას ამარა დარჩა. „ბორდოს" ერთი მცირე უპირატესობა აქვს. გასულ უქმეებზე ტური გამოტოვა და შესაძლოა, უფრო დასვენებული იყოს, ვიდრე „ვალენსია".

ვილიარეალი (ესპანეთი) – სელტიკი (შოტლანდია) (0:1)



„სელტიკის" ქომაგებს ესპანეთში ლუდის სმა ცუდად აქვთ დაცდილი

## ძალიან შავი ბაზარი

### სელტიკმა ვილიარეალში ფული ჩაიტანა

ვილიარეალი 42-ათასიანი ქალაქია, რომლის გუნდიც გლაზგოში თვით „სელტიკს" გაუძალიანდა. დღეს ვილიარეალში დაახლოებით 11 ათასი შოტლანდიელი, ანუ ქალაქის მოსახლეობის მესამედი ჩავა. სტადიონზე შესვლა, ცხადია, ყველას სურს, მაგრამ სქოთებისთვის მხოლოდ 3 800 ბილეთი გამოყვეს. ადგილობრივებს ფეხბურთი კი უყვართ, მაგრამ ისე არა, რომ გვარიანი ფულის მოჭრაზე უარი თქვან. „შავ ბაზარზე" ბილეთის ფასმა 1500 ევროს მიაღწია. ნაგიჟარი, ჯიბესქელი შოტლანდიელები მზად არიან მეტიც გადაიხადონ, რაც მავანი ვილიარეალელისთვის შესაძლოა, ორი-სამი თვის ჯამაგირის ტოლფასიც იყოს. მასპინძელთა ქომაგებს ევროების ჩაკეცვა თუ გაუტკბათ, ეგებ სტადიონზე სქოთები ესპანელებზე მეტნი აღმოჩნდნენ.

პატარა ქალაქში ისიც გაითვალისწინეს, რომ შარშან სევილიაში, სადაც უეფას თასის ფინალი გაიმართა, „სელტიკის" ქომაგთა წყალობით 120 ტონამდე ლუდი დაილია. ამიტომ ლუდიც ბლომად მოიმარაგეს.

„ვილიარეალმა" ჩემპიონატის ბოლო ტურში შინ „დეპორტივოსთან" წააგო, მაგრამ მწვრთნელ ფრანსისკო გარსიას ეს მარცხი დიდად არ ანაღვლებს: „სელტიკთან" სრულიად სხვა გუნდს იხილავთ. ჩვენ გაცილებით უკეთ თამაში შეგვიძლია, რაც გლაზგოშიც დავამტკიცეთ".

გარსიას ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავს. მთელი სეზონის განმავლობაში „ვილიარეალი" ტრავმების და დისკვალიფიკაციის გამო 11 უძლიერესს თავს ვერ უყრიდა, ამჯერად კი მწვრთნელის განკარგულებაშია ყველა სასურველი მოთამაშე.

„სელტიკს" ტრავმამოშუშებული კრის სატონი დაუბრუნდა, რომელმაც „ლივინგსტონთან" სათასო მატჩში წყვილი გოლი გაიტანა. რობერტ დუგლასის ნაცვლად კარში კვლავ ყმაწვილი დევიდ მარშალი იქნება.

სტუმართა კაპიტანმა ჯეკიმ მაკნამარამ „ვილიარეალისთვის" საქებარი სიტყვები არ დაიშურა: „ვფიქრობ, ის საუკეთესოა მათ შორის, ვისაც უეფას თასზე ამ სეზონში შევხვდით".

ნიუკასლი (ინგლისი) – პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (1:1)

## სიხარული დასწრებაზე

### კეჟმანმა ეინდჰოვენიდან გაიტანა

პსვ-ს მწვრთნელი გუს ჰიდინკი ეინდჰოვენური მატჩის შემდეგ მსაჯს გაუწყრა. მისი თქმით, ჟილ ვესიეს მასპინძელთა კარში გატანილი გოლი არ უნდა ჩაეთვალა, რადგან იმ მომენტში ტიტუს ბრამბლი ვან დერ შააფს აშკარად ეუხეშა.

ინციდენტის გამო ჰოლანდიელებმა უეფაში სარჩელიც აფრინეს, მაგრამ ჩინოვნიკებს ვერაფერს გამორჩნენ. უეფელთა ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ჟილ ვესიეს პატაკში ბრამბლი ნახსენები არ არის და ამის გამო ვერავის დავსჯითო.

პსვ-მ ეს ბრძოლა წააგო, მაგრამ დღეს „სენტ ჯეიმს პარკზე" ყურების ჩამოყრას არ აპირებს. ეინდჰოვენური ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ნიუკასლს" მეტოქეზე ოდნავ მეტი შანსი აქვს, მაგრამ სტუმრებმა ანგარიშის გახსნა თუ მოახერხეს, სასწორი მათ მხარეს გადაიხრება.



მატეა კეჟმანი

პსვ-ს ფორვარდი მატია კეჟმანი ინგლისელებს სწორედ პირველი გოლით ემუქრება. მან „ნიუკასლს" შინაც გაუტანა, ტურში „გრონინგენთან" ჰეთ თრიქი მიითვალა და ახლა იშტაზეა მოსული. „ჩვენ ძალიან კარგ ფორმაში ვართ და გული მიგრძნობს, რომ „სენტ ჯეიმს პარკზე" მე უფრო მალე გავიხარებ, ვიდრე „ნიუკასლი" — თქვა სერბმა.

გუს ჰიდინკს კვლავ არ ეყოლება ტრავმირებული არიენ რობენი, ანდრე ოიერი და კევინ ჰოფლანდი.

მასპინძელთა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე არიან. შეი გივენი: „ჩვენ ახლოს ვართ ნახევარფინალთან და ყველაზე მეტი ყურადღება ახლა გვმართებს".

ინტერი (იტალია) – მარსელი (საფრანგეთი) (0:1)

## არგენტინული გეგმა: დასაწყისში დავასრულოთ ალმეიდამ დაუსტვინა

მისავათებული „ინტერი" ბოლო ორ ტურში გაცოცხლდა. „შავ-ლურჯებმა" მიჯრით ორი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით მოიგეს. ალბერტო ძაკერონისათვის და მილანელთა ფანებისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა „პერუჯასთან" ადრიანოს გატანილი წყვილი გოლი. ბრაზილიელი კარგა ხანს ფორმიდან ამოვარდნილი იყო და ახლა სამიზნე გაისწორა. საგოლე იშტაზეა ობაფემი მარტინსიც.

„ინტერს" დღეს „მარსელი" ესტუმრება, რომელმაც პირველ მატჩში უამრავი მომენტი შექმნა, მაგრამ მეტოქეს მხოლოდ 1:0 მოუგო. ეს არაა ისეთი სხვაობა, მასპინძლებს მისი გაბათილება რომ გაუჭირდეთ. მარსელური შეხვედრის შემდეგ ალბერტო ძაკერონიმ თქვა, მილანში „ინტერი" თავის ნამდვილ სახეს გამოაჩენსო. გუშინ კი მწვრთნელმა განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ გუნდს გაცილებით უკეთ თამაში შეუძლია, ვიდრე ერთი კვირის წინ. ჩვენ მაქსიმალურად მობილიზებულნი ვართ და სასურველი ანგარიშით მოგებას ვგეგმავთ. ცხადია, ეს იოლი არ იქნება, თუმც ბიჭებმა „პერუჯასთან" მატჩში გამარჯვებისკენ სწრაფვა გამოავლინეს და ვფიქრობ, იგივეს „მარსელთანაც" შეძლებენ".

მატიას ალმეიდა: „კარგი იქნება, გოლს სასტვენისთანავე თუ გავიტანთ. სტუმრებს ვაჩვენებთ, ვინ არის მასპინძელი. გულშემატკივრების განსაკუთრებული მხარდაჭერის იმედი მაქვს. ჩვენს სტადიონზე თამაში ნებისმიერ მეტოქეს უნდა უჭირდეს".

„ინტერის" ძირითად შემადგენლობაში კრისტიან ვიერი, დიახაც, იქნება. „პერუჯასთან" მატჩში მას თავში ბოთლი მოარტყეს, მაგრამ იგი ამჟამად ტკივილს აღარ უჩივის.

სტუმართა მწვრთნელ ჟოზე ანიგოს თავი სხვა მიზეზის გამო სტკივა. მას დისკვალიფიცირებული მთავარმეგოლე დიდიე დროგბა არ ეყოლება. ფორვარდს ყვითელი ბარათები დაუგროვდა და შეხვედრას გამოტოვებს.

„მარსელის" მცველმა ლორენ ბატლემ თქვა, უდროგბობას გადავიტანთ, თუ ჩვენი დაცვა ისევე კარგად ითამაშებს, როგორც „ველოდრომზე".

ვაჟა ხუციშვილი




დიდიე დროგბა „სან სიროს" ვერ ნახავს

# კმარა!

## ლამაზ პოლიგლოტს გლეხის ქოჩორი სჯობდა





*თითქოს აგერ ახლა იყო, „მონაკოსთან“ გამაბრუებელი საჩემპიონთა-ლიგო მარცხით დათრგუნული მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავები „მეტოქის მოულოდნელ სიძლიერეზე“, „გამოცხადებული საფეხბურთო სიკვდილის ქრონიკაზე“, „შესამჩნევ ფიზიკურ დაღლილობაზე“ რომ საუბრობდნენ.*

*კასტილიური გრანდის გალაქტიკური კონტინენტი ერთხმად აღნიშნავდა — კარლუშ კეიროშს ფრანგებთან დასანან მარცხში ბრალი არ მიუძღვის, მხოლოდ ჩვენი, მოთამაშეთა უგულისყურობით იყო, „ლუი მეორეზე“ გაუთვალისწინებელი მეხი რომ დაგვცესო.*

*სამეფო თეთრების განცხადებებში ოპტიმიზმიც უხვად იყო და ამ წაგებულ, მაგრამ გულგაუტეხილ სენიორთა შემხედვარე, პირინეულ მედიასაც გაცვეთილი „თუმცა“ და „მიუხედავად ამისა“ ლამის სისხლხორცეულ გამოთქმებად გადაექცა.*

„რეალის“ მოყვარე ესპანელ ჟურნალისტებს თავიანთი ჟურნალ-გაზეთების გვერდებზე მრავლად მოჰყავდათ სხვადასხვა „გალაქტიკოსის“ დაახლოებით ასეთი შინაარსის სიტყვები:

„მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგა დავთმეთ, პრიმერადივიზიონის დაკარგვას არ ვაპირებთ. ახლა ყურადღებას ქვეყნის ჩემპიონატზე გადავიტანთ და ლიდერობაც ჩვენ დაგვრჩება“ — რობერტო კარლოსი ანდა ამგვარი მებრძოლი მოწოდება: „მონაკოსთან“ წავაგეთ, თუმცა ეს ქვეყნის დაქცევას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. პრიმერას აუცილებლად მოვიგებთ — რაული.

დღეს კი რა ხდება „სანტიაგო ბერნაბეუზე“? იმავე სასოწარკვეთით და მწუხარებისგან გონებადაბინდულ ინჩასთა თვალწინ „რეალმა“ სახიფათო, მაგრამ მაინც საშუალო „ოსასუნასთან“ 0:3 წააგო და ხელიხელ საგოგმანებელი ლიდერობა რაფა ბენიტესის „ვალენსიას“ გადააბარა.

ესპანეთში კიდევ ექვი ტურია დარჩენილი, კასტილიური პრესა კი ძველ, კეთილ განწყობასა და შემწყნარებლობის ნიშანწყალსაც არ ამჟღავნებს. მეტიც, „რეალის“ ვარსკვლავთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას იწყებს. პირველი მსხვერპლი უიღბლო ლუზიტანი მაესტრო კარლუშ კეიროშია, უმთავრესი მოიერეშე კი ტიტულიანი მადრიდული „ასი“. იქაურთა მთავარი სპორტული გაზეთის კალმოსნების მრისხანება ალბათ თქვენთვისაც საინტერესო იქნება. მაშ ასე, ასელი ალფრედო რელანიო ვისენტე დელ ბოსკეს მისტირის:

„ახლა ნამდვილად გამოჩნდა, რომ დელ ბოსკეა საჭირო. კი მაგრამ, რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებულნი მუდამ გაჭირვების ტალკვესზე, ანუ რონალდოზე, რომელსაც უიმედო დროს ერთი-ორი გოლის შეგდება და „რეალის“ უფსკრულიდან ამოთრევა შეუძლია? ნუთუ მადრიდელებს გუნდური თამაშის პრინციპი საერთოდ დაავიწყდათ? ასეთი შემადგენლობით თითქოს ყველა მატჩს უნდა ვიგებდეთ, მაგრამ უნებისყოფო მწვრთნელის გამო უჩვეულო კრიზისში ვართ ჩავარდნილი. რონალდო ნელ-ნელა წონაში იმატებს, დანარჩენი ფეხბურთელები ვარჯიშებს აცდენენ და შესაბამისად, თამაშებისადმი დაინტერესებაც ქრება. კეიროში კი ამ დროს, ეგრეთ წოდებულ, ვარსკვლავებს უსაზღვრო უფლებებს აძლევს და თვალს ხუჭავს იმაზე, რომ მავანმა „ელ გალაქტიკომ“ კვირიდან კვირამდე უცხოეთში ისეირნოს. პორტუგალიელს „რეალის“ ახალგაზრდა თაობის მნიშვნელობა ან არ ესმის, (რაც ძალიან ცუდია) ან კიდევ მათ ყურადღებას არ აქცევს (რაც პირველ ვარიანტზე გაცილებით უარესია). კი, ბატონო, ხანდახან პავონი, ხანდახან მინამბრესი, ზოგჯერ პორტილიოც გამოდის მინდორზე — ეს არის და ეს. დანარჩენი „ყმაწვილები“ თითქოს სადღაც ცხრამთას იქით არიანო...

ფლორენტინოს მაშინ ასეთი ნაბიჯი არ უნდა გადაედგა. ვალიარებ — დელ ბოსკეს აჩეჩილი ქოჩორი და მთლიანობაში მისი ხალხური ფიგურა ახლებური „რეალის“ არისტოკრატიულ ახირებებს არ შეესაბამებოდა, მაგრამ საქმე? ის, რაც ახლა კასტილიური გრანდის სამწვრთნელო შტაბში ხდება, მომიტევეთ და, არც საქმეა და არც მისი მსგავსი რაღაც... ვისენტემ უცხო ენებიც არ იცოდა. ადგა ხორხე ვალდანო და [illegible] გამოსავალი — პოლიგლოტი კარლუშ კეიროში. თანაც ეს პორტუგალიელი ნებისმიერი ცისფერსისხლიანის შესაშური პეწით და ლაზათით მორთულ-მოკაზმულა. ყველაფერი ლამაზად წარიმართა — ლამაზად ვერ ავაწყვეთ გუნდი, ლამაზად წავაგეთ სამეფო თასი, ლამაზად გამოგვაგდეს ჩემპიონთა ლიგიდან და პრიმერაშიც კვირას ლამაზი კატასტროფა ვნახეთ „ოსასუნასთან“, 0:3 — კმარა, ბატონებო, მადრიდელი გულშემატკივრები ამხელა არისტოკრატიულ ესთეტიკას ნამდვილად არ ვიმსახურებთ....

„რეალმა“ კი ის მოიმკო, რაც დათესა — პამპლონელებთან 11 აპრილის შერკინებაში (თუ კი ამას შერკინება შეიძლება დავარქვათ) „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სამეფო გუნდის მხრიდან ალარც ფეხბურთელი ჩანდა ვინმე რიგიანი და მით უმეტეს — აღარც მწვრთნელი. ვალდანომ და მისმა ხალხმა სეზონთშორისის იმდენად არასწორი გამოთვლები გააკეთეს, რომ დღეს ამის გამოსწორება ვებერთელა ტვირთის თრევის ტოლფასია. ამბობდნენ, პრიმერადივიზიონს აუცილებლად მოვიგებთო, მაგრამ სატურნირო ცხრილის დარჩენილ მატჩებს თუ გადავხედავთ და „ოსასუნასთან“ საშინელ თამაშს გავითვალისწინებთ, ეს „აუცილებლობა“ ძლიერ საეჭვო და მერყევი გამოჩნდება — წინ „ატლეტიკო“, „ბარსა“ და „დეპორტივო“ გველის. ისე, საინტერესოა, ამ კრიზისის დროს კარლუშ კეიროში სამგლოვიარო ფერის პიჯაკს ჩაიცმევს თუ არა. დასასრულ ისევ იმით დავამთავრებთ, რითიც დავიწყეთ — იქნება ერთი წლის წინ „სანტიაგო ბერნაბეუდან“ ვისენტე დელ ბოსკეს გაშვება არც ისე მომგებიანი კომბინაცია იყო, როგორც ეს „რეალის“ თაოსნობაში ბევრს ეგონა“...

**ლადო ხომერიკი**







ზიდანისა და რონალდოსთვის „რეალი“ მძიმე ტვირთად იქცა

# უმცველო რეალი აიალას უმიზნებს

## დღეს რობერტოს დღეობაა



რობერტო ფაბიან აიალა კვლავაც მადრიდის „რეალის“ სამიზნედ იქცა. „ვალენსიას“ ჩაუქი მცველი კასტილიელთათვის საოცნებოდ ქცეულა და, ისე ჩანს, ტიერი ანრის გადასაბირებლად არ იჩენენ იმდენ ძალისხმევას, რამდენსაც მის გამო. არგენტინელი მცველი ფლორენტინო პერესის კლუბს გასული წლის აგვისტოშიც აინტერესებდა. მაშინ მადრიდელთა პრეზიდენტის, მისი სპორტული დირექტორის ხორხე ვალდანოსა და ვალენსიელთა უმაღლესი თავკაცის ხაიმე ორტის საქმიანი მიმოსვლა, შეხვედრები თუ სატელეფონო საუბრები „რეალის“ გამო უშედეგოდ დამთავრდა. თუმცა ამ ამბებიდან თითქმის 8 თვის შემდეგ აშკარად გამოჩნდა, რომ დედაქალაქელთა სიძუნწე მათთვის ერთობ წამგებიანი გამოდგა. „ვალენსიამ“ ამ სეზონში გაცილებით ნაკლები გაუშვა, ვიდრე კარლუშ კეიროშის კასტილიურმა გრანდმა. აიალა კი „მესტალიას“ გუნდის ჭეშმარიტი ლიდერია. ბენიტესის შეგირდებს მეტოქეთა მოიერიშეების ნაკლებად რომ ეშინიათ, სწორედ მისი დაცვაში აქტიურობის ბრალია.

პატაგონიელს დღეს 31 წელი უსრულდება, ფლორენტინო კი კვლავაც რკინის მცველის მადრიდულ სიმპათიებზე საუბრობს. იქაური „ასისადმი“ მიცემულ ინტერვიუში პერესმა ვრცლად ილაპარაკა იმაზე, რომ აიალას „რეალი“ მოსწონს და ხელსაყრელ შანსს ელოდება, რათა „ვალენსიას“ კასტილიელთა სამეფო თეთრზე გაცვალოს. არავინ იცის, ამჟამინდელი სატრანსფერო ვაჭრობანი რითი დასრულდება, თუმცა ერთი რამ ცხადია, თუ ბოლოს და ბოლოს არგენტინელი „რეალში“ წაიყვანეს, იქაურთა დაცვის სიძაბუნით ნერვებდაწყვეტილი ინჩასები ოდნავ მაინც ამოისუნთქებენ.

**ლადო ხომერიკი**

# დევიდი, სარა, მამა და მწერალი

## სექსი ფერარიში ტელეფონით



*ამთავითვე გამოვთქვათ ეჭვი, რომ ეს ყველაფერი გამოგონებულია. ვის და რად სჭირდება? იქ, სადაც დიდძალი ფული ტრიალებს ინტრიგა და სკანდალი ბევრს შეიძლება აძლევდეს ხელს, კონკრეტულად კი რა მოგახსენოთ... თუმცა, არის ერთი ვარიანტი: ამბობენ, დევიდ ბექჰემის შესახებ ჭორების გავრცელება და მისი წყობიდან გამოყვანა „ჩელსის" მეპატრონე რომან აბრამოვიჩს სჭირდებაო. თუ ასეა, ჩანაფიქრი, ალბათ, ეს უნდა იყოს, დევიდის მეუღლე, ვიქტორია ადამსი იეჭვიანებს და ქმარს მის სიახლოვეს, ინგლისში (ჩათვალეთ „ჩელსიში") დაბრუნებას უბრძანებს. თუმცა, რა ხდება სინამდვილეში, ძნელი სათქმელია*

**მაგრამ** ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ინგლისში საიდანღაც გამოტყვრა 29 წლის ქალი სარა მარბეკი, რომელიც ამტკიცებს, რომ, თუ სწორად მივხვდით, 2001 წელს, ოთხი საათის განმავლობაში დევიდ ბექჰემის საწოლში იმხიარულა.

ფოტო, რომელზეც ჩვენი სარა წელსზევით შიშველია, ხოლო წელსქვევით ბადე-კოლგოტკა აცვია, იმ ოთხსაათიან ამბამდე რვა თვით ადრე, 2000 წლის ნოემბერშია დაჩხაკუნებული. დამჩხაკუნებელი გახლავთ ირლანდიელი კიპ კეროლი, რომელიც თავის ფოტოსაქმეში იმდენად ძლიერი და ცნობილია, რომ კრის დე ბური, ბოიზონი და ეგეთი ვიღაცები ჰყავს გადაღებული. კიპ კეროლმა სარა დუბლინის სტუდიაში გადაიღო. კიპი იგონებს:

„სარასთან მუშაობა სამხიარული იყო. წელსზევით სიშიშვლე მან თავად მოიფიქრა. სიშიშვლისა აშკარად არ რცხვენოდა. სარას თან ბადე-კოლგოტკაც ჰქონდა წამოღებული. მე პოზები შევთავაზე, მან სიამოვნებით იპოზიორა. მახსოვს, ფოტოებით კმაყოფილი იყო. ამ ფოტოებზე სამი საათი ვმუშაობდით. საკმაოდ ენწყლიანი ქალია, ირლანდიაში დაახლოებით ერთ წელიწადს დარჩა, სამოდელო საქმეს მისდევდა. როდესაც შევიტყე, რომ დევიდ ბექჰემის საყვარელი ყოფილა, გავვოცდი".

„სანის" რეპორტიორებმა კი სარა მარბეკის თემის ამოწურვა ბოლომდე გადაწყვიტეს და ქალის მამას, ტერანს მარბეკს მიაგნეს. მისტერ მარბეკმა თავისი ყოვლად ძვირფასი კომენტარები ავსტრალიის, კერძოდ, პერთის სახლიდან მოგვაწოდა დანარჩენ მსოფლიოს. აი, რა თქვა მან:

„დევიდ ბექჰემს, როგორც ოჯახის კაცს, ცოლისა და ორი შვილის პატრონს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვებოდა. ინგლისის ნაკრების კაპიტანს მეტი ევალება. მეორე მხრივ, განსჯა არავისი მსურს, ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ. ჩემი შვილიც უკვე 29 წლისაა და თავის ცხოვრებას როგორც უნდა, ისე მართავს".

რეპორტიორებმა მამის კომენტარი რომ მოინადირეს, ამ ჩვენი სარას ძველი ბოიფრენდის კვალსაც დაადგნენ. მიაგნეს ვინმე ინგლისელ მწერალ (რას წერს ვერ გეტყვით) ჯეიკ ჰამილტონს, რომელსაც ქალი მალაიზიაში გაუცნია ორი წლის წინ.

„სარა მეგობრებმა გამაცნეს და ერთი ნახვით შემიყვარდა, მაგრამ რაღაც ხნის შემდეგ ეჭვი გამიჩნდა, რომ მღალატობდა. საქმე ის არის, მის ტელეფონში სექსუალური შინაარსის SMS-ები ვიპოვნე. ვინ უგზავნიდა არ ვიცი, იქ მხოლოდ ნომერი იყო. რას წარმოვიდგენდი, რომ ეს ბექჰი იქნებოდა" — თქვა მწერალმა, ხოლო რეპორტიორებმა თავი მოიკლეს და თუნდაც დახლოებით, მაგრამ მაინც გაახსენებინეს იმ SMS-ების შინაარსი.

გვერწმუნეთ, სისულელეა. აქ რომ მოვიტანოთ, ბევრს ვერაფერს მოვიგებთ, ამიტომ ისე გეტყვით: თუ ყველაფერი საერთოდ მართალია, ეს იყო ბექჰემის და სარას დიალოგი, სადაც ბექჰემი წერდა ცოლის ნაყიდ „ფერარიში" ვზივარ და მსურხარო, ქალი პასუხობდა, ვითომ შენს გვერდით ვზივარ და ეს მაცვიაო, მერე ის ეუბნებოდა, ახლა ასე და ასე ჰქენიო და სხვა.

და ბოლოს, ზემოთ ორჯერ „ჩვენი სარა" რომ ვახსენეთ, ეს ქართულში ითქმება ასე, თორემ...

**პაპუნა ძედია**





დევიდის და სარას ხელგადახვეულობა ქალის მამას გულზე არ ეხატებოდა

# მქვსი იანვრის ტერაქტი

*გთავაზობთ დომინიკ ანტონიონის ტრადიციულ მოსაზრებას სერია A-ს მორიგი ტურის კარგ და ცუდ ფეხბურთელთა შესახებ. 29-ე ტურის შემდეგ იტალიელმა ჟურნალისტმა გამოარჩია*

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5210 | ბეტისი-ბარსელონა | 1.85 | 1.75 |
| 5211 | ვილიარეალი-სელტიკი | 1.7 | 1.9 |
| 5212 | ნიუკასლი-პსვ | 1,85 | 1.75 |
| 5213 | ინტერი-მარსელი | 1.7 | 1.9 |
| 5214 | ვალენსია-ბორდო | 1.75 | 1,85 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5010 | ბეტისი-ბარსელონა | 3,8 | 2.05 | 2,6 | 1.33 | 1,54 | 1.14 |
| 5011 | ვილიარეალი-სელტიკი | 2.7 | 2.05 | 3,6 | 1.16 | 1.54 | 1.3 |
| 5012 | ნიუკასლი-პსვ | 2.15 | 2.15 | 5.0 | 1.07 | 1.5 | 1.5 |
| 5013 | ინტერი-მარსელი | 1.95 | 2.2 | 6.0 | 1.03 | 1.47 | 1.6 |
| 5014 | ვალენსია-ბორდო | 1.85 | 2.3 | 6.0 | 1.02 | 1.41 | 1.66 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ჩემპიონები და თასის აღება

**9004**
**ესპანეთი (17.04)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,7 |
| ვალენსია | 1,7 |
| ბარსელონა | 10,0 |
| დეპორტივო | 30.0 |

**9005**
**საფრანგეთი (18.04)**

| | |
|---|---|
| ლიონი | 1,5 |
| მონაკო | 2.0 |
| პსჟ | 4.0 |

**9008**
**ავსტრია (07.04)**

| | |
|---|---|
| ავსტრია | 1,3 |
| გრაცერი | 2.8 |
| რაპიდი | 30,0 |

**9009**
**დანია (11.04)**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი | 2,2 |
| ბრიონდბიუ | 2.35 |
| ესბიერგი | 2.5 |

**9010**
**საბერძნეთი (17.04)**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1,45 |
| ოლიმპიაკოსი | 2.0 |

**9011**
**უკრაინა (10.04)**

| | |
|---|---|
| დინამო | 1.1 |
| შახტარი | 4.4 |

**9026**
**ჩემპიონთა თასი (20.04)**

| | |
|---|---|
| ჩელსი | 2.3 |
| დეპორტივო | 2.8 |
| პორტუ | 4,0 |
| მონაკო | 5.0 |

**9024**
**უეფას თასი (14.04)**

| | |
|---|---|
| ვალენსია | 2.5 |
| ნიუკასლი | 3.8 |
| ინტერი | 4.4 |
| სელტიკი | 6.0 |
| მარსელი | 6.0 |
| ვილიარეალი | 8.0 |
| პსვ | 12.0 |
| ბორდო | 30.0 |

# საქართველოს ჩემპიონატი

13 აპრილი. ვერის ბაღი

**მაკაბი 91:95 რუსთავი**

22:29 29:10 22:26 18:30

მაკაბი: ნინოშვილი (24), ბადრიძე (1), წოწელია (30), ვაშაკიძე (16), სუხიშვილი (17); კონჯარია (3), ფიცხელაური
რუსთავი: არწივიძე (15), გაბისონია (4), ჯიმშელეიშვილი (35), ბერუაშვილი(12), დანელიანი (4); ტყეშელაშვილი (23), ჩაჩუა (2)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**ბასკო 100:86 სტუ**

25:22 18:20 28:24 29:18

ბასკო: დ. ბერიშვილი (16), ბოისა (3), კუშელავა (10), ტუჯანი (8), ბერძენიშვილი (11); ვ. მაისურაძე (11), იმნაძე (17), ი. ბერიშვილი (8), კვიმსაძე (6), როდუმტა (6), ბოლქვაძე (4), ბ. ბერიშვილი
სტუ: ნიკოლაძე (5), გაგნიძე (14), მარკოიშვილი (14), ახალკაცი (2), ჯაფარიძე (4); ბაბიაშვილი (24), ქისტაური (6), მიქაძე (5), შანიძე (4), ლაფანაშვილი (4), ოგანესიანი (4), კოხრეიძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

# გაითვალე ბასკოზე

## წაგებას მოგების ფასი დაედო

ბათუმში თამაში ნებისმიერ გუნდს უჭირს. მეხუთე წელია, „ბასკო“ ეროვნულ ჩემპიონატში გამოდის და საკუთარ სარბიელზე ხუთჯერაც არ დამარცხებულა. ბათუმელებს წლევულს ძველებურად მძლავრი გუნდი არ ჰყავთ, მაგრამ პლეი ოფში მათ მეტოქეობას არავინ ისურვებდა. თუმცა, დღეს ვითარება შეიცვალა, „ბასკო“ ფინანსური პრობლემების გამო თბილისში გადმოსახლდა და თუ აქამდე თსუ და სტუ პლეი ოფში ბათუმელებთან ასაცდენად მესამე ადგილისათვის ჭიდაობდნენ, ახლა რომ მიუშვა, ალბათ ნებით დათმობენ ამ ადგილს.

არავის უთქვამს, მეოთხეობა მინდაო, მაგრამ „სტუ-ჯეოსელის“ თამაშის მანერაში სწორედ ეს იგრძნობა. ტექნიკოსები მყარად იყვნენ ცხრილის მესამე საფეხურზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი ნახევარფინალში მეორეადგილოსან „დინამოს“ ეჯახებოდნენ, ბათუმში კი მეოთხე ადგილზე მყოფი თსუ მიდიოდა. თუმცა, იყო თეორიული შანსი, სტუ მეოთხეზე ჩამოქვეითებულიყო, თუ ყველა თამაშს წააგებდა. ჰოდა, ტექნიკოსები შაბათს გაცილებით სუსტ „მაკაბისთან“ დამარცხდნენ, გუშინ კი უშუალოდ „ბასკოს“ აუფრიალეს თეთრი დროშა.

წავაგე და რა ვქნაო, შეიძლება თქვას „სტუ-ჯეოსელის“ მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა, მაგრამ რაღაც გვეეჭვება, მას თავისი ბიჭები ამ მატჩებში მხოლოდ მოსაგებად მოემართა. მთელი სეზონი რომ არ გამოჩენილან, ახლა თამაშობენ სტუ-ში დუბლიორი ბიჭები, უფრო სწორედ, ბავშვები, რაც ტექნიკოსთა ტრავმიანობას შეიძლება დაბრალდეს.

ისიც სათქმელია, რომ „ბასკოსთან“ და „მაკაბისთან“ ჭეიშვილს არაერთი ჯანსაღი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე ეჯდა სკამზე და მოედანზე არ შეუყვანია. ჰოდა, რომ ნახა, სათადარიგოებითა და ბავშვებით მეთამაშებაო, „ბასკოს“ მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა გუშინ სტუ-ს თავადაც სამარქაფოები დაუპირისპირა. მოედანზე კი გამოვიდნენ ბერძენიშვილი, ტუჯანი, ბერიშვილთა ტრიო და „ბასკოს“ სხვა ლიდერები, მაგრამ თამაშის სიმძიმემ ძირითადად ახალბედებზე გადაიარა.

ისე, ამდენს რომ ვამტკიცებთ, სტუ თავს იმიტომ არ იკლავს, მეოთხეზე გასვლა და ნახევარფინალში „ბასკოსთან“ თბილისში თამაში სურსო, ეს ამბავი ეგებ არცაა საორჭოფო. არ მინდა ჩემპიონ „დინამოსთან“ ნახევარფინალში თავ-პირის მტვრევა, მიჯობს ბათუმიდან წამოსულ უხელფასო „ბასკოს“ აგერ, ვერის ბაღში ვებურთაოო, თავს გაიმართლებს სტუ-ს უფროსობა და მართალიც იქნება. ყველაფერ ამაში მხოლოდ ისაა ცუდი, რომ სტუდენტური გუნდების მონაწილეობით რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილი მატჩები იქნება უინტერესო, თუმც დასრულებასაც ბევრიც აღარაფერი უკლია.

სტუ-სა და თსუ-ს რეგულარულ ჩემპიონატში თითო მატჩი დარჩენიათ. ტექნიკოსები 15 აპრილს რუსთავში თამაშობენ, სახელმწიფო უნივერსიტეტელები კი ვერის ბაღში „მაკაბის“ ხვდებიან. ორივემ რომ წააგოს, „არასასურველ“ მესამე ადგილზე სტუ რჩება, ხოლო თუ თსუ-მ „გაბედა“ და მოიგო, ორივეს თანაბარი ქულები უგროვდებათ და ურთიერთშეხვედრების გათვალისწინებით ბურთების შეფარდებით თსუ-ს ერგება მესამეობა.

ბუნებრივია, გათბილისებულ „ბასკოს“ თსუ-ც ისურვებდა სანახევარფინალო მეტოქედ. ასე რომ, როგორც ვითარება გვიჩვენებს, ბოლო ტურში წაგებას მოგების ფასი ექნება.

არ იქნება, გუშინდელი დღის მეორე მატჩზეც არ ვთქვათ, თუმც არა მასში მონაწილეთა ამბიციებისა და თამაშის მნიშვნელობის გამო. „ბასკო“ — „რუსთავი“ ტელეკომპანია „იმედმა“ პირდაპირ ეთერში გადასცა, რითაც პატივი მიაგო და 60 წლის იუბილე მიულოცა მის კომენტატორს, „მაკაბის“ მთავარ მწვრთნელ ჯამლეთ ხუხაშვილს.

ხუხაშვილს თავის შეგირდებმაც დაუპირეს ძღვენის მირთმევა და შედარებით ძლიერი მეტოქე მესამე მეოთხედისთვის 20 ქულით ჩამოიტოვეს, მაგრამ ხელმძღვანელმწვრთნელისთვის გამზადებული საჩუქარი რუსთაველმა ლევან ჯიმშელეიშვილმა სამქულიანი სროლებით დაამსხვრია. „ჯიმიმ“ სულ 35 ქულა ჩაუგდო „მაკაბის“ და „რუსთავს“ 95:91 მოაგებინა.

**ირაკლი პერტაია**




ბათუმელები და სტუ-ელები მორიგი ბურთის მოხსნისთვის წვალობენ

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 26 | 24 | 2 | +694 | 50 |
| დინამო | 26 | 21 | 5 | +587 | 47 |
| სტუ | 27 | 17 | 10 | +304 | 44 |
| თსუ | 27 | 16 | 11 | +145 | 43 |
| რუსთავი | 27 | 15 | 12 | +148 | 42 |
| მაკაბი | 26 | 10 | 16 | -120 | 36 |
| სსუ | 27 | 4 | 23 | -679 | 31 |
| ქუთაისი | 28 | 0 | 28 | -1079 | 28 |

# ქართული ტრიოს ფუთები მაილსმა ჩამოარიგა

**ამას წინათ** კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა „სარბიელთან“ ინტერვიუში თქვა, კარგი იქნება, ნბა-ში მოთამაშე ქართველები თავიანთ სკოლებს მაინც თუ დაეხმარებიანო. აღდგომა და ხვალაო... სწორედ სააღდგომოდ მოვიდა ოკეანეს გაღმიდან ქართული ტრიოს გამოგზავნილი სპორტული ამუნიციითა და ბურთებით დატვირთული ფუთები — ცქიტიშვილმა, ფაჩულიამ და სტეფანიამ თავიანთი აღმზრდელი მასწავლებლები ქართული საზომით ძვირფასად დაასაჩუქრეს.

ყველაფრის თავიდათავი ნბა-ს სპეციალური პროგრამა გახლდათ, რომელიც რატომღაც ახლაღა ამოქმედდა საქართველოსთვის. პროგრამის მიზანია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე ლეგიონერები დაეხმარონ იმ სკოლებს, რომლებმაც გაზარდეს ეს სპორტსმენები. ერთი ეროვნების მოთამაშეთაგან გროვდება ფული, რითაც ნბა-ს სპეციალური კომისიის წევრები მრავალფეროვან საკალათბურთო ატრიბუტიკას ყიდულობენ და გასაგზავნ ქვეყანაში არსებული ამერიკის საელჩოს ხელით ძღვენს ადრესატს აწვდიან.

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ ჩვენი ნბა-ელების აღმზრდელთა დასასაჩუქრებლად ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი მივიდა. ამერიკელთა დიპლომატიური კორპუსის მეთაურმა სპორტის მნიშვნელობისა და ქართული კალათბურთის წარმატებებზე ილაპარაკა, რის შემდეგაც ზურაბ სამხარაძეს, ვაჟა კვარაცხელიას და ზაურ სტეფანიას სპორტული ინვენტარით გაძეძგილი ფუთები გადასცა.

სამხარაძე ფაჩულიას გამზრდელია, კვარაცხელია — ცქიტიშვილის, ვლადიმერ სტეფანიას კი თავისი წილი ფუთების ადრესატად მამამისი ზაურ სტეფანია დაუსახელებია. ვოვას აღმზრდელობაზე თბილისში არაერთი მწვრთნელი დებს თავს, მაგრამ სტეფანიას ერთპიროვნული მასწავლებელი არ მოეძებნება.

მაილსის გამოსვლის შემდეგ სამადლობელო სიტყვა კულტურისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა თქვა, რის შემდეგაც კაფეში შეკრებილი საზოგადოება ამერიკული სისადავით გაშლილ შვედურ სუფრასთან მიიწვიეს პირის გასასველებლად...

**ირაკლი პერტაია**



ვაჟა კვარაცხელია, ზურაბ სამხარაძე და ზაურ სტეფანია ამერიკული ძღვენით



რიჩარდ მაილსი და გიორგი გაბაშვილი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დენვერმა ცხრა წელი იმშობიარა

— 12 აპრილი —

**ჩიკაგო 84:93 ორლანდო**
ჩიკაგო: ფიზერი (30 ქულა, 20 მოხსნა)
ორლანდო: გეინისი (8), ბოგანსი (11), სტივენსონი (13), ჰოვარდი (38), დეკლერკი; გუდენი (7), ფაჩულია (9 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა), ჰანტერი (4), დიალი (4), იონსენი (4)

**დენვერი 97:89 საკრამენტო**
დენვერი: მილერი (21), ენტონი (17), კემბი (12 ქულა, 21 მოხსნა, 7 პასი, 5 ჩაქრა)
*ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო*
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (20)

**პორტლენდი 66:78 სან ანტონიო**
პორტლენდი: რენდოლფი (13)
*სტეფანია განაცხადში არ იყო*
სან ანტონიო: პარკერი (22)

**მინესოტა 104:90 იუტა**
მინესოტა: სპრიუელი (24)
იუტა: აროიო (19)

**ფილადელფია 93:107 ინდიანა**
ფილადელფია: ტომასი (26)
ინდიანა: ონილი (28)

**კლივლენდი 93:89 მილუოკი**
კლივლენდი: ჯეიმსი (27)
მილუოკი: მეისონი (25)

**ბოსტონი 77:84 მაიამი**
ბოსტონი: დევისი (25)
მაიამი: ოდომი (28)

**ატლანტა 129:107 ნიუ ჯერსი**
ატლანტა: ტერი (30)
ნიუ ჯერსი: კიდი (15)

**დეტროიტი 101:79 ვაშინგტონი**
დეტროიტი: ჰამილტონი (24)
ვაშინგტონი: არენასი (20)

**ნიუ ორლეანი 97:101 ნიუ იორკი**
ნიუ ორლეანი: ვესლი (23)
ნიუ იორკი: ნორისი (21)

**სიეტლი 107:111 ჰიუსტონი**
სიეტლი: მიურეი (24)
ჰიუსტონი: ჯექსონი (25)

„საკრამენტოსთან" მატჩი რომ მორჩა, დენვერელმა ჯონ ბერიმ თავისი გუნდის სათადარიგოთა სკამთან ერთი ჩამოუარა. გვერდზე, მოედანზე კარმელო ენტონი და როდნი ვაიტი ერთმანეთს კაი შეყვარებულებივით ჩაეხვივნენ, „დენვერის" მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი კი ჯერ „იეს-იეს-ის" ძახილით დახტოდა, შემდეგ კი კლუბის უფროსობას კისერზე ჩამოეკიდა.

ხარობდა ხალხიც, „პეპსი სენთერში" წლეულს მხოლოდ მესამედ მოგროვილი 19 746 დენვერელი. „დენვერისთანა" საშუალო გუნდისთვის მძლავრი „საკრამენტოს" ძლევა, თავისთავად, გასახარი ამბავია, მაგრამ მხოლოდ ამის გამო არ გადარეულა ნახევარი ქალაქი. მათი „ნაგიტსი" 1995 წლის შემდეგ პირველად გავიდა პლეი ოფში.

რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე თამაშით ადრე „დენვერს" 43 მოგება და 38 წაგება მოუგროვდა. უახლოესმა მდევარმა „იუტა ჯაზმა" კი ათასიოდ კილომეტრში, მინეაპოლისში იქაურ „მინესოტასთან" თავისი 39-ე თამაში წააგო და საბოლოოდ ჩამორჩა „ნაგიტსს". დენვერელებმა ის დარჩენილი ერთი შეხვედრაც რომ წააგონ, „იუტას" მაინც აჯობებენ პირად შეხვედრებში უკეთესი ბალანსის წყალობით.

–კარგი იქნებოდა დენვერელთა სიხარული ჩვენებურ ნიკა ცქიტიშვილსაც გაეზიარებინა, მაგრამ ის უკვე კარგა ხანია, 12-კაციან შემადგენლობაში აღარ ირიცხება და ჯეფ ბზდელიკი ალბათ არც პლეი ოფისთვის ინებებს მის გამოწერას რეზერვიდან.

„იუტას" დარად წააგო „დენვერის" მომდევნო მდევარმა „პორტლენდმაც". ორივე ეს გუნდი სტაჟიანი მეპლეიოფეა, „იუტას" 20 წელი არ გაუცდენია რეგულარული ჩემპიონატის შემდგომი ჯახები, „პორტლენდი" კი 21 წელი თამაშობდა უძლიერესებში. ორივე ეს გუნდი საკმაოდ ძლიერია და იმსახურებს პლეი ოფს, მაგრამ რას გააწყობენ, ასეთია მწარე რეალობა. მოგება-წაგებების 42-39 ბალანსით „იუტა" აღმოსავლეთ კონფერენციაში არათუ უძლიერეს რვეულში, არამედ ოთხეულშიც კი მოხვდებოდა და პირველ მეტოქესთან მოედნის უპირატესობაც კი ექნებოდა. დასავლეთში კი ეს ორივე გუნდი ეკვატორს ქვევით, ესე იგი, სუსტებში აღმოჩნდა.

აღმოსავლეთის რვაში კი ბოლო გუნდად „მაიამისთან" წაგებული „ბოსტონი" ჩაეწერა და მშრალზე დატოვა ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდი" და ტრავმირებული ალენ აივერსონის „ფილადელფია". ლებრონ ჯეიმსმა „მილუოკისთან" 27 ქულა, 9 პასი და 7 მოხსნა გააკეთა და „კავალერიას" ბოლო მეოთხედში გაატეხინა მეტოქე, თუმც მის გუნდს მანამდე ჰქონდა ყველა შანსი გაფლანგული. ახლა ჯეიმსმა იქნებ სეზონის ახალბედას ტიტულიც დაკარგოს, რაკი მისი ერთადერთი კონკურენტის კარმელო ენტონის „დენვერი" პლეი ოფში მოხვდა. აი, ცოტა ადრე რომ დაეწყო მოგებები „კლივლენდს"...

„ბოსტონის" ბოლო კონკურენტმა „ფილადელფიამ" კი ალენ აივერსონის გარეშეც მოახერხა მეტოქეს კუდში მიყოლოდა, მაგრამ „ინდიანასთან" მარცხის შემდეგ თეორიული შანსიც დაკარგა.

„ინდიანამ", რომელიც ახლა არანაკლებ ძლიერია, ვიდრე ლარი ბერდის ხელში 1998-2000 წლებში იყო, კარგა ხნის წინ გაინაღდა უკბილო აღმოსავლელებში ყრჩობა და ახლა ერთი სული აქვს როდის დაამტკიცებს ძალას პლეი ოფში. „პრესა" და გულშემატკივრები სკეპტიკურად [illegible] და ჩვენს მიმართ მხოლოდ მშრალ სტატისტიკურ ფრაზებს იმეტებენ. ჩვენს ადგილზე „ლეიკერსი" რომ ყოფილიყო და მას მოეგო სეზონში 60 თამაში, ცაში აიყვანდნენ" — ჩივის „ინდიანას" ლიდერი ჯერმენ ონილი.

ნბა-ს მჩქეფარე რიტმს შერჩენილ ერთადერთ ქართველზე ზაზა ფაჩულიაზეც ვთქვათ. მისი „ორლანდო" რეგულარულ ჩემპიონატს ბოლო გუნდად დაამთავრებს და ამ ადგილიდან ვერც ბოლოსწინა „ჩიკაგოსთან" გამარჯვებამ დაძრა, ფაჩულიამ „ჩიკაგოს" 9 წუთში 4 ქულა ჩაუგდო და 5 ბურთი მოუხსნა და მცირედი წვლილი შეიტანა ზედიზედ 13 მარცხის შემდეგ გამარჯვებაში. ტრეისი მაკგრეიდის არყოფნაში კი „ორლანდოს" ჯუონ ჰოვარდი გაუძლვა სეზონში უმეტესი 38 ქულით.

**კოტე ყორშია**



„დენვერის" ახალბედა კარმელო ენტონისთვის პირველივე სეზონი პლეიოფიანი გამოდგა

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკა | | | |
| **ნიუ ჯერსი** | 47 | 34 | 58,0 |
| **მაიამი** | 41 | 40 | 50,6 |
| **ნიუ იორკი** | 39 | 42 | 48,1 |
| **ბოსტონი** | 35 | 46 | 43,2 |
| ფილადელფია | 33 | 48 | 40,7 |
| ვაშინგტონი | 25 | 56 | 30,9 |
| ორლანდო | 20 | 61 | 24,7 |
| ცენტრალური | | | |
| **ინდიანა** | 60 | 21 | 74,1 |
| **დეტროიტი** | 54 | 27 | 66,7 |
| **მილუოკი** | 41 | 40 | 50,6 |
| **ნიუ ორლეანი** | 40 | 41 | 49,4 |
| კლივლენდი | 34 | 47 | 42,0 |
| ტორონტო | 31 | 49 | 38,8 |
| ატლანტა | 28 | 53 | 34,6 |
| ჩიკაგო | 23 | 58 | 28,4 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| შუა-დასავლეთი | | | |
| **მინესოტა** | 57 | 24 | 70,4 |
| **სან ანტონიო** | 56 | 25 | 69,1 |
| **მემფისი** | 50 | 30 | 62,5 |
| **დალასი** | 50 | 30 | 62,5 |
| **ჰიუსტონი** | 45 | 36 | 55,6 |
| **დენვერი** | 43 | 38 | 53,1 |
| იუტა | 42 | 39 | 51,9 |
| წყნარი ოკეანე | | | |
| **საკრამენტო** | 55 | 26 | 67,9 |
| **ლეიკერსი** | 54 | 26 | 67,5 |
| პორტლენდი | 41 | 40 | 50,6 |
| გოლდენ სტეიტი | 36 | 44 | 45,0 |
| სიეტლი | 36 | 45 | 44,4 |
| ფინიქსი | 28 | 52 | 35,0 |
| კლიპერსი | 27 | 53 | 33,8 |

*მთავრული შრიფტით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდები*



## პლეი ოფი. პირველი წრე

# აი, გვესმის პლეი ოფი

## მოხტუნავე შაიბა, მოხეტიალე ფორვარდი და ეშმაკთა ისტორია

*სწორედ ასეთი პლეი ოფი ახარებს თვალს, ამგვარ დაძაბულ და უკომპრომისო ბრძოლას ვიყავით დანატრებულნი. ყველა წყვილმა სამ-სამი თამაში ჩაატარა და გადამწყვეტი უპირატესობა ერთმა გუნდმაც ვერ მოიპოვა — ყველა სერიაში ართნაირი ანგარიშია — 2:1*

— 12 აპრილი —

### დასავლეთი

#### დალასი 1:2 კოლორადო

**დალასი 4:3 კოლორადო**
*1:2 1:1 1:0 1:0*
1:0 არნოტი (9), 1:1 ჰეიდუკი (12), 1:2 ჰალი (16), 1:3 კონოვალჩუკი (32), 2:3 იანგი (40), 3:3 ბუშე (56), 4:3 ოტი (63)

„კოლორადოს" ყველაზე უკეთესი შანსი ჰქონდა, 3:0 დაწინაურებულიყო სერიაში და პრაქტიკულად საქმე მოთავებულად ჩაეთვალა. სულ ორი წამიც და სტუმრები მესამე პერიოდს ორშაიბიანი უპირატესობით (3:1) დაიწყებდნენ, მაგრამ... სკოტ იანგის ზუსტმა დარტყმამ „დალასის" იმედი გააცოცხლა, ბოლო მესამედში კი ტეხასელთა მეკარე მარტი ტურკოს ბრწყინვალე თამაშმა გადაარჩინა ტეხასელთა კარი რობ ბლეიკის გოლს. ამის შემდეგ მასპინძლებმა ფრთები შეისხეს და საბოლოოდ ოვერტაიმში „კოლორადო" ისეთმა მოთამაშემ გაანაწყენა, ვისგანაც ყველაზე ნაკლებად მოელოდა. დალასელთა ჩხუბისთავმა სტივ ოტმა მოიხელთა უპატრონოდ დარჩენილი შაიბა, მოულოდნელად ორ მცველს გასცდა და მეკარე გააოგნა.

„შაიბა ისე დახტოდა, ახლაც ვერ ვხვდები, როგორ შევარდა კარში" — თქვა მატჩის შემდეგ ოტმა.

#### სენტ ლუისი 1:2 სან ხოსე

**სენტ ლუისი 4:1 სან ხოსე**
*0:0 2:0 2:1*
1:0 სილინჯერი (30), 2:0 დრეიკი (38), 2:1 ჩიჩუ (46), 3:1 სილინჯერი (48), 4:1 სილინჯერი (60)

„სენტ ლუისის" გამარჯვების შემომქმედი მაიკ სილინჯერი გახლდათ. აბა, ამ მოხეტიალე ფორვარდისგან ამას ვინ ელოდა, მან ხომ თავის 13-წლიან კარიერაში 10 კლუბი გამოიცვალა და ჰეთ თრიქიც პირველად შეასრულა, თან თანაგუნდელებს სანწოსელი მეკარის ევგენი ნაბოკოვის კომპლექსი მოუხსნა.

### აღმოსავლეთი

#### აილენდერსი 1:2 ტამპა

**აილენდერსი 0:3 ტამპა**
*0:2 0:0 0:1*
0:1 რიჩარდსი (4), 0:2 სან ლუი (7), 0:3 სან ლუი (60)

„ტამპამ" მარტო კი არ იმარჯვა, ამ სერიაში პირველად გამოავლინა თავისი ძალა. კიდევ უფრო სასიამოვნოა, რომ ეს ლიდერებმა მოახერხეს. მარტინ სან ლუიმ (2 გოლი) და ბერდ რიჩარდსმა (გოლი და პასი) სერიაში პირველი ქულები მიითვალეს.

#### ნიუ ჯერსი 1:2 ფილადელფია

**ნიუ ჯერსი 4:2 ფილადელფია**
*0:1 3:1 1:0*
0:1 რენიკი (9), 1:1 ელიაში (22), 1:2 ამონტე (24), 2:2 მარტინი (25), 3:2 ელიაში (38), 4:2 ჯიონტა (47)

„ნიუ ჯერსი" რა ჩემპიონი იქნებოდა, სერია უსიტყვოდ დაეთმო. სტუმრად ორი მარცხის შემდეგ მესამე შეხვედრაც მეტოქის სასარგებლოდ წარიმართა, მაგრამ „ეშმაკებმა" ძალიან მოიწადინეს და თამაშში გარდატეხა შეიტანეს. მათ შორის საუკეთესო კი პატრიკ ელიაში იყო. მას მეორე დღეს 28 წელი უსრულდებოდა, თან საიუბილეო, მე-100 მატჩს თამაშობდა და ეს მოვლენა ორი გოლით აღნიშნა. რიგითი გოლები არ გეგონოთ, მათი წყალობით 77 ქულა დაუგროვდა და „ეშმაკთა" ისტორიაში საუკეთესო საპლეიოფო ბომბარდირი შეიქნა.



წაქცეულმა ოტაველმა მარიან ჰოსამ ამჯერად ვერ გაუტანა „ტორონტოს" მეკარე ელ ბელფორს

REUTERS ფოტო

#### ოტავა 1:2 ტორონტო

**ოტავა 0:2 ტორონტო**
*0:0 0:1 0:1*
0:1 ნუინდაიკი (22), 0:2 სუნდინი (55)

ედ ბელფორის კიდევ ერთმა საუცხოო თამაშმა მის „ტორონტოს" ზედიზედ მეორე გამარჯვება მოუტანა. სტუმართა მეკარემ 37 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მე-13 შათაუტი მიითვალა. პირველ პერიოდში მხოლოდ ერთმა ოტაველმა, მარიან ჰოსამ უფრო მეტჯერ დაარტყა, ვიდრე მთელმა ტორონტომ (შესაბამისად 5-4), ხოლო ბოლო მესამედში მასპინძელთა უპირატესობა 17-2 იყო. მიუხედავად ამისა, „არწივის" კარი ვერავინ დალაშქრა — ბელფორმა თავისი მშრალი სერია 138 წუთამდე გაზარდა. „კიდევ მეტჯერ დავარტყამთ, უფრო შევუშლით ხელს და წარმატებას მაინც მივაღწევთ" — მარცხის მიუხედავად, მარიან ჰოსა ოპტიმისტურადაა განწყობილი.

**სამველ ლარიბიანი**

# მარქს-ენგელს-ნიკოლაძიდან პობედამდე

## ქართველი მთამსვლელები პამირისა და ტიან-შანის მთებში

ეძღვნება მწვერვალ პობედაზე დაღუპულ ჯუმბერ მეძმარიაშვილის ხსოვნას




პობედაზე დაღუპულ ქართველთა სახელობის მწვერვალები შხარაზე



ჯუმბერ მეძმარიაშვილი

*მწვერვალ „პობედაზე“ 1961 წელს ილია გაბლიანთან და თეიმურაზ კუხიანიძესთან ერთად დაღუპულ ჯუმბერ მეძმარიაშვილს 17 აპრილს 70 წელი შეუსრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით ვეტერანი ალპინისტი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი შოთა მირიანაშვილი იხსენებს თავისი მეგობრის, ასევე საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონისა და პრიზიორის ჯუმბერ მეძმარიაშვილის მიღწევებს და აფასებს მის წვლილს ქართული ალპინიზმის განვითარებაში. მირიანაშვილი პირდაპირ თუ ირიბად საუბრობს მეძმარიაშვილის პიროვნულ თვისებებზე, რაშიც იგი აგრეთვე ჩემპიონად წარმოგვიდგება.*

*ბუნებრივია, ჯუმბერ მეძმარიაშვილი მარტო არ დადიოდა მთაში და მას ერთ თოკში ჩაბმულს სხვადასხვა მთამსვლელებთან ერთად არაერთი მწვერვალი დაულაშქრავს, მათ შორის თავად შოთა მირიანაშვილთანაც. ამიტომაც მირიანაშვილის მოგონება და მისი შეფასებები ეხება არა მხოლოდ მეძმარიაშვილს, არამედ გასული საუკუნის 50-იანი წლების მთელ ქართულ მთამსვლელობასაც, რაც ამ პუბლიკაციას ერთიორად საინტერესოს ხდის. აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ პობედაზე დაღუპულ მთამსვლელთა აღიარება იყო თავად შოთა მირიანაშვილის ჯგუფის მიერ 1974 წელს კავკასიონზე, შხარას მასივის უსახელო მწვერვალებზე ასვლა და მათთვის ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძის და ილია გაბლიანის სახელების დარქმევა. ამ მთამსვლელთა აღიარება იყო ისიც, რომ ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თეიმურაზ კუხიანიძე დიდუბის პანთეონის მიწას მიაბარეს, ხოლო ილია გაბლიანის ჩამოსვენება შეუძლებელი გახდა და იგი ახლაც პობედას ფერდობზე განისვენებს*

**ავთანდილ გურასაშვილი**

ცნობილია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის საზღვრებში ორი მაღალმთიანი სისტემა შედიოდა — პამირი და ტიან-შანი. ამ მთიან სისტემათა საბჭოურ ნაწილში მოქცეული იყო მსოფლიოს უდიდესი მყინვარები („ფედჩენკო“ — 77 კმ, „ილინჩეკი“ — 57 კმ) და მრავალი მაღალი, 6000 მეტრს აცილებული მწვერვალი და ოთხიც შვიდიათასიანი პიკი (ევგენია კორჟენევსკაიას პიკი — 7105 მ; სტალინის პიკი — 7495 მ; ლენინის პიკი — 7113 მ; პობედა — 7439 მ).

როცა ქართველმა მთამსვლელებმა მზერა პამირსა და ტიან-შანზე გადაიტანეს, ამ მთიან სისტემათა საკვანძო მწვერვალების დიდი ნაწილი რუს მთამსვლელებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ.

ამდენად, ქართველ მთამსვლელთა დღის წესრიგში იდგა დალაშქრულ მწვერვალებზე ახალი, ტექნიკურად რთული მარშრუტების გაკვლევა ან იმ პიკებზე ფეხის შედგმა, რომლებიც, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, რუსებს არ დანებდა.

შუა აზიის მთები ქართველი მთამსვლელებისთვის ერთგვარი ტრამპლინი იყო ჰიმალაისა და ყარაყორუმის რვაათასიანებისკენ, იქ კი, ჰორიზონტზე, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის, „ევერესტის“ (8848 მ) ქონგურებიც იხატებოდა.

კავკასიონისგან განსხვავებით, პამირი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ქედების მთელ სისტემას წარმოადგენს. იგი ცენტრალური აზიის უზარმაზარი მთიანი რაიონია. მძლავრი გამყინვარებებით და იმავდროულად კვანძით, რომელშიც თავს იყრის მატერიკის უდიდესი მთაგრეხილების განშტოებები (ჰინდიკუში, კუნლუნი, ტიან-შანი),

პამირი მსოფლიოში ჰიმალაის, ყარაყორუმის და კუნლუნის (მისი უმაღლესი მწვერვალია 7719 მეტრიანი კონგური) შემდეგ სიმაღლით მეოთხე მთიანი სისტემაა.

ალპინისტები პამირს ოთხ ძირითად რაიონად ჰყოფენ. ალაის პამირი, ცენტრალური პამირი, სამხრეთ-დასავლეთი პამირი და აღმოსავლეთი პამირი.

ქართველ მთამსვლელთა პირველი ექსპედიცია პამირის მთიანეთში 1954 წელს შედგა. სამოქმედო რაიონად სამხრეთ-დასავლეთი პამირი იყო შერჩეული. ექსპედიციის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ცნობილი მთამსვლელი და მეცნიერი ოთარ გიგინეიშვილი გახლდათ.

ექსპედიციის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ის მთამსვლელები, რომლებსაც კავკასიონზე მაღალი სპორტული შედეგები ჰქონდათ. ამ პირველ სასიმაღლო ექსპედიციაში, ცხადია, ჯუმბერ მეძმარიაშვილიც იყო. ექსპედიციაში ჩართული იყო ორი რუსი მთამსვლელიც — კირილე კუზმინი და ალექსანდრე სუსლოვი.

ამ ექსპედიციის ერთი ჯგუფი (ალიოშა ნემსიწვერიძე — ხელმძღვანელი, კირილე კუზმინი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, სარგის ცაიშვილი, ჯოკია გუგავა), აღმოსავლეთ ნიშგარის მყინვარის მხრიდან ავიდა სამხრეთ-დასავლეთ პამირის უმაღლეს მწვერვალზე (მარქსის პიკი — 6720 მ) ახალი მარშრუტით, რაც პირველი გასვლისთვის უთუოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ცხადია, რომ ქართველი მთამსვლელები ამით არ დაკმაყოფილდნენ და ენგელსის პიკიც (6510 მ) ტექნიკურად მეტად რთული მარშრუტით დალაშქრეს, რომელიც სსრ კავშირის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლით აღინიშნა (მაქსიმე გვარლიანი — ხელმძღვანელი, ალიოშა ნემსიწვერიძე, გრიშა გულბანი, კირილე კუზმინი).

ამავე ექსპედიციის წევრებმა (მაქსიმე გვარლიანი, გრიშა გულბანი, კირილე კუზმინი) დალაშქრეს აგრეთვე 6300 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალი და მას საქართველოში ალპინიზმის დამფუძნებლის გიორგი ნიკოლაძის სახელი უწოდეს.

ასე შედგა ჯუმბერ მეძმარიაშვილის სასიმაღლო ალპინისტური ნათლობა. ამ წლიდან მოყოლებული ჯუმბერს კავკასიონისკენ პირი აღარ უბრუნებია.

პამირის 1955 წლის ექსპედიციის შედეგები უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა. იმ შორეულ 1955 წელს ქართველმა მთამსვლელებმა, ცენტრალური პამირიდან ერთბაშად ოქროც ჩამოიტანეს და ვერცხლიც.

1955 წლის ექსპედიცია (ხელმძღვანელები ოთარ გიგინეიშვილი და ალექსი ივანიშვილი) იმითაც იპყრობს სპეციალისტთა ყურადღებას, რომ კავკასიონზე შესრულებული ბრწყინვალე ასვლებისა და ტრავერსების შემდეგ, ქართველმა მთამსვლელებმა სასიმაღლო ასვლებშიც მომზადების მაღალი



პამირში პირველი ქართული ექსპედიციის მიერ დალაშქრული მწვერვალი
ენგელსის პიკი და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პიკი (მარჯვნივ, უკანა პლანზე)

დონე, შემართება და შეუპოვრობა და სასიმაღლო ადაპტაცია გამოავლინეს.

სტალინის პიკზე (სსრკ-ის უმაღლესი მწვერვალი) ღარმოს მყინვარის მხრიდან ახალი მარშრუტის გაკვლევა და პამირის კიდევ ერთ გოლიათზე (6885 მ) პირველასვლა, ახალი სიტყვა იყო საბჭოთა სასიმაღლო ალპინიზმში.

6885 მეტრის სიმაღლის ეს პიკი დღეს „როსიას“ სახელს ატარებს.

1955 წლის ექსპედიციის მთელი შემადგენლობა, ცხადია, მაღალ შეფასებას იმსახურებს, მაგრამ მე მაინც გამოვარჩევდი იმ ოთხეულს (იოსებ კახიანი — ხელმძღვანელი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ლევან ახვლედიანი, მიხეილ ხერგიანი), რომელმაც სასიმაღლო ასვლების კლასში (სტალინის პიკი — 7495 მ) საქართველოს პირველი ოქრო მოუტანა.

1956 და 1957 წლებში ქართველებმა კვლავ წარმატებით განახორციელეს ასვლები პამირში (ვერცხლი და ოქრო).

1956 წელს ჩვენ მთამსვლელებს პამირის კიდევ ერთი გოლიათი დანებდა — მოსკოვის პიკი (6785 მ), რომელზეც ასვლას მანამდე არა ერთი და ორი კარგად აღჭურვილი და უძლიერესი რუსი მთამსვლელებით დაკომპლექტებული ექსპედიცია ამაოდ ეცადა. მოსკოვის პიკზე სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ნაკრებთან ერთად ხელი მოეცარა თვით ევგენი აბალაკოვსაც. ამ პიკს სახელად „მოსკოვი“ ევგენი აბალაკოვის ჯგუფმა დაარქვა, მასზე პირველასვლელის პატივი კი ქართველ მთამსვლელებს ხვდათ წილად.

ქართველების მიერ მოსკოვის პიკის დაპყრობა რუსეთის დედაქალაქის დაარსების 800 წლისთავის იუბილეს დაემთხვა, რის გამოც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მოპოვებულ ვერცხლის მედალთან ერთად ჩვენი მთამსვლელები დიმიტრი ობოლაძე (ხელმძღვანელი), ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, თეიმურაზ კუხიანიძე და რევაზ ხაზარაძე მოსკოვის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს.

როგორც თბილისის უნივერსიტეტელისთვის, პირადად ჩემთვის ქართველ მთამსვლელთა ეს წარმატება ორმაგად იყო სასიხარულო. საქართველოს მოსიმაღლეთა ნაკრებში ხომ ჯუმბერის გარდა პირველად მოხვდნენ თსუ-ს მთამსვლელთა სექციის წევრები თეიმურაზ კუხიანიძე და რევაზ ხაზარაძე (იმ წლებში უნივერსიტეტის სექციას ჯუმბერ მეძმარიაშვილი ედგა სათავეში).

1957 წელს საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა ნაკრებს სათავეში უკვე ჯუმბერ მეძმარიაშვილი ედგა. ეს დიადი ნდობა ჯუმბერმა შემთხვევით არ მოიპოვა. შესანიშნავ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებასთან ერთად სასიმაღლო ასვლებში მან ნამდვილი ლიდერის თვისებები გამოავლინა.

ამასთან, კაცურ-კაცობის ყველა თვისებით იყო დაჯილდოებული. უზომოდ უყვარდა თავისი ქვეყანა, ქართველი ხალხი, მოყვასი და ახლობელ-მეგობარი.

**შოთა მირიანაშვილი**
**საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი**

გაგრძელება იქნება

# კახა ალანია არ ნებდება — ნაკრებში კიდევ ვითამაშებ

ვაჟიკო კალიოლაძის ფოტო



2002 წლის შემოდგომაზე კახა ალანია და კლოდ სორელი ერთმანეთს რუსების დამარცხებასა და მსოფლიოს თასზე გასვლას ულოცავენ. ალანიას მას შემდეგ ნაკრებში აღარ უთამაშია

*კახა ალანიას ბავშვობიდან უწინასწარმეტყველებდნენ დიდ მომავალს რაგბიში, ამომავალ ვარსკვლავსაც უწოდებდნენ. 14 წლისამ საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც კი ითამაშა. მსოფლიოს თასამდე ალანია საქართველოს ნაკრების უკანა ხაზის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედაც ითვლებოდა, თუმცა ძველი ბორჯღალოსნების ლევან ცაბაძისა და მევლუდ მთიულიშვილის მსგავსად ისიც რატომღაც არ წაიყვანეს ავსტრალიაში. „ლოკომოტივის“ კაპიტანი ჯერაც არ თვლის თავს ნაკრებისთვის პენსიონერად*

— კახა, მაინც რატომ მოხდა ასე, რომ მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე იყავი ნაკრებში, ბოლოს კი შინ დაგტოვეს?

— ბოლო შესარჩევი ციკლის წელს ტრავმა მაწუხებდა და მთელი სეზონი გამაყუჩებლებით ვთამაშობდი. მიუხედავად ტკივილებისა, ყველა შეხვედრაში ბოლომდე ვიხარჯებოდი და მწვრთნელიც კმაყოფილი იყო. ავსტრალიაში გამგზავრებამდე რომ მიდგა საქმე, მითხრეს, რომ კლოდს ასი პროცენტით ჯანმრთელი მოთამაშეები სჭირდება, რომლებიც მზად არიან მსოფლიოს თასისთვისო.

— სხვა რაიმე მიზეზიც ხომ არ იყო?

— სორელი წასულია და მასზე ახლა საუბარი არ მინდა, რადგან ვთვლი, რომ სათქმელი პირში უნდა უთხრა კაცს. იყო სხვა მიზეზიც- ლევან ცაბაძე, მევლუდ მთიულიშვილი და მეც ერთი მიზეზით დაგვტოვეს.

**— როგორ ფიქრობ, რა განსხვავებაა ძველ და ახალ ნაკრებს შორის?**

— ძველი ნაკრები უკვე ჩამოყალიბებული გუნდი იყო, ახალი კი ახლა ყალიბდება. საბედნიეროდ, ახალი გუნდი მალე შეიკრა და ნიჭიერი ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. კარგი იქნება, თუ გამოცდილი მოთამაშეები ახალგაზრდებით შეივსებიან, მწვრთნელები კი ყველას გამოცდიან. მომავალი ერთა თასი უკვე მსოფლიოს შესარჩევის ციკლადაც ითვლება და იქ ძლიერი შემადგენლობით უნდა წარვსდგეთ. ვიცი, ბევრი თამაშია დაგეგმილი. ზაფხულში სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი კლუბი გვესტუმრება, შემდეგ ინგლისის A ნაკრებთან და იტალიელებთან ტესტმატჩები გვექნება.

**— ეს თამაშები ეყოფა ნაკრებს მომზადებისთვის?**

— თავისთავად, უკეთესი იქნებოდა, მეტი გვეთამაშა...

**— ხელისუფლების უყურადღებობა ნაკრებსაც ეტყობა...**

— არ ვიცი, ახლი ხელისუფლება რას ფიქრობს. ჯერჯერობით ყურადღებას ვერ ვგრძნობთ. თუნდაც ჩვენი კლუბი „ლოკომოტივი“ რკინიგზის სამინისტროს ეკუთვნის, მაგრამ რეალურად ჯერ არაფერი იგრძნობა, თუმცა იმედები გვაქვს...

**— „ლოკომოტივს“ რა გეგმები აქვს ახლო მომავალში?**

— თასისთვის ვემზადებით, სულ მალე იწყება და დიდი ამბიციებიც გვაქვს

**— სად ვარჯიშობთ? რაგბიში ხომ მოედნის პრობლემა მუდმივი პრობლემაა.**

— ჯერჯერობით „ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე.

**— მოედნისთვის არენდას იხდით?**

— არა, ჩვენ რკინიგზის დეპარტამენტის გუნდი ვართ და... თუმცა, მოედანიც ფუჭდება და მოვლა მასაც ესაჭიროება.

**— სათასო თამაშები სად გაიმართება?**

— ჩვენს თამაშებს „ლოკომოტივის“ სათადარიგოზე ვითამაშებთ. თუ პლეიოფში გავედით, ცენტრალურზე გავმართავთ მატჩებს. ყოველ შემთხვევაში, ასე გვპირდებიან.

**— ჩემპიონები რომ გახდით, ვინმემ თუ მოგაქციათ ყურადღება?**

— ჩვენ არა მარტო ჩემპიონები, არამედ თასის მფლობელებიც გახლავართ ანუ დუბლი შევასრულეთ, მაგრამ...

**— იმედია, მედლები მაინც დაგირიგეს.**

— კი, მედლებიც დაგვირიგეს, დიპლომებიც და ეს ყველაფერი საზეიმოდაც გადმოგვცეს კინოთეატრ „ამირანში“.

**— პრემიები?**

— მაგაზე რა მოგახსენოთ...

**— რაგბის კულუარებში იმასაც ამბობდნენ, რომ თემურ ბენდიაშვილი კარგი კანდიდატურა იქნებოდა ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზეო....**

— ვფიქრობ, ბენდიაშვილი წაადგებოდა ნაკრებს. იგი რაგბის საუკეთესო მცოდნეა.

**— ახლა როგორ ემზადები?**

— „ლოკომოტივში“ ვვარჯიშობ. არაფერი მაწუხებს და ვფიქრობ, კარგ ფორმაშიც ვარ. რაც ყველაზე კარგია, წლეულს ბევრი საკლუბო ტურნირებია გეგმაში, არა მარტო საქართველოს ჩემპიონატზე და თასზე, არამედ ევროპულ ტურნირებზე. მოვემზადები და თუ კარგ ფორმაში ვიქნები, მაშინ აუცილებლად მექნება პრეტენზია ეროვნულ ნაკრებში თამაშზე.

**ნინო ლეჟავა**



# ლაბაძემ ატილას შემოუტრიალა — კონჩიტა მეშვიდე შვილასიანია



ირაკლი ლაბაძე

ეშტორილის ღია პირველობა
თიხნარი
საპრიზო 520 ათასი $

**პირველი წრე**

**ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 4:6, 6:4, 7:5; რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 7:6 (7:4), 6:3;**

იტალიაში გადატანილი სადევისო ბრძოლების შემდეგ ირაკლი ლაბაძემ ეშტორილურ თიხნარზე გადაინაცვლა. პირველ წრეში ჩვენს პირველმეჩოგნეს მეტოქედ 28 წლის უნგრელი ატილა სავოლტი ერგო, ვისთანაც მას აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2001 წლის მანერბიოს ჩელენჯთიხნარზე ეთამაშა და 5:7, 2:6 დამარცხებულიყო. პირველი სეტი ლაბაძემ ამ ჯერზეც დათმო, თუმცა მერე უფრო აგრესიულად ათამაშდა და საბოლოოდ ირევანშა კიდეც. მეორე წრეში ქართველს ან მეექვსე ნომრად განთესილი ბელარუსი მაქს მირნი ან ჩეხი ბოგდან ულირახი შეხვდება.

სხვაფრივ, პირველი დღეების უმთავრეს მოვლენად შარშანდელი ჩემპიონის, რუსი ნიკოლაი დავიდენკოს გავარდნა იქცა. რუსს აქა-იქ მძლავრად მოგლაჯუნე ჩეხმა რადეკ სტეპანეკმა აჯობა.

THE FAMILY CIRCLE CUP
ჩარლსტონი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი $

**პირველი წრე**

**კონჩიტა მარტინესი (16, ესპანეთი) — ციან ციან სუნი (ჩინეთი) 6:1, 6:0**

სანამ ჩარლსტონურ თიხნარზე ოფლის დასაღვრელად მაღალრეიტინგოსანი მდედრები გასულან, ჩოგნებს შედარებით უსახელო გოგონები აქნევენ. და ეგებ ჩვენც ზეპურ ქალთა გარჯას დავლოდებოდით, რომ არა ერთი დასტურ გამოსარჩევი და ზორბა ამბავი — ცნობილმა ესპანელმა მეჩოგნე კონჩიტა მარტინესმა იმ დღეს თავის მე-700 საკარიერო გამარჯვება მიითვალა!

კონჩიტა 1972 წლის 16 აპრილსაა დაბადებული და ამდენად ორიოდ დღეში ტორტზე 32 სანთლის ჩაქრობა მოუწევს. პროფესიულ საკორტეთში ის 1988 წლიდან ჩოგნაობს და, როგორც სტატისტიკა იუწყება, ამ თხუთმეტნახევარი წლის განმავლობაში 32 საერთეულო და 11 საწყვილო ტიტული მოუნაგრავს, ხოლო ფულად თითქმის თერთმეტ მილიონ დოლარამდე უშოვნია. კარიერის უდიდეს მიღწევად 1994 წლის უიმბლდონობაზე მოგებას დაიკვეხს და თითო-თითოჯერ ავსტრალიის ღია პირველობისა (1998) და როლან გაროსის ფინალებშიც გარჯილა.

რაც შეეხება შვიდას მოგებას, ასეთი მარაგი ქალთაგან მხოლოდ ექვს დიად მეჩოგნეს — მარტინა ნავრატილოვას, კრის ევერტს, შტეფი გრაფს, ვირჯინია უეიდს, არანჩა სანჩეს-ვიკარიოსა და ივონ გულაგონგს მოექუჩებინა. ამგვარად კონჩიტა უკვე მეშვიდე შვიდასიანი ქალი იქნება.

**ლევან ძილაურაძე**



კონჩიტა მარტინესი





ბერნი და სლავიკა ეკლსტოუნები 25 მილიონით გამდიდრდნენ

# ეკლსტოუნმა იყიდა, გაყიდა და უფრო გამდიდრდა

**დიდ ბრიტანეთში** ქონებით მესამე პიროვნება, 73 წლის ბერნი ეკლსტოუნი ამ დღეებში უფრო გამდიდრდა.

ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა გამგებელმა, რომლის ავლადიდებაც სამ მილიარდ გირვანქა სტერლინგს აღწევს, ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბან კენსინგტონში თავისი ხუთსართულიანი სრა-სასახლე 75 მილიონ გირვანქად (120 მილიონი დოლარი) გაყიდა. ეკლსტოუნმა ამ სარეკორდო გარიგებით 25 მილიონი გირვანქა მოიგო, რადგან სამი წლის წინ უამრავ სათავსოიანი ეს ნაგებობა, რომელშიც 12 საძილე ოთახი, რამდენიმე ათეული მანქანისთვის განკუთვნილი ვეება გარაჟი და ნახატების გალერეაცაა, 50 მილიონად შეიძინა.

საინტერესოა მყიდველის ვინაობაც. ეს გახლავთ ფოლადჩამოსხმის ინდოელი „მეფე“ ლაქშმი მეთალი. არადა, შარშან ხმები დადიოდა, ეკლსტოუნის აპარტამენტების ყიდვა ფეხბურთის კლუბ „ჩელსის“ რუს მფლობელ რომან აბრამოვიჩს უნდაო.

ისიც აღსანიშნავია, რომ ბერნის და მის ხორვატ მეუღლეს, ყოფილ ფოტომოდელ სლავიკას კენსინგტონში ამ სამი წლის განმავლობაში ერთი ღამეც არ გაუთევიათ და თავიანთ ორ ქალიშვილთან ერთად ლონდონის არანაკლებ ფეშენებელურ უბან ჩელსიში სახლობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# მის ამერიკა

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ამ საქმეში მთავარი იმის ჩვენება ყოფილა, როგორ გადგას ტანზე საცურაო კოსტიუმი. ქალი კი მის ამერიკა-2004, შენდი ფინესი გახლავთ. მის მსოფლიოობაზეც გაიქაჩებაო, ასე ამბობენ. მის ამერიკის შეჯიბრი ჰოლივუდში „კოდაკის" თეატრში გამართულა.



REUTERS მინსკიდან

# დევისის მოგზეიმენი



REUTERS პალმა დე მალიორკადან

დევისის თასის ამბები ხომ ცნობილია და, ეროვნული საჩოგბურთო ნაკრებების მეოთხედფინალები გასულ უქმეებზე მოილია, ყოველი გამარჯვებული თავისებურად ხარობდა. წვიმაგადავლილ პალმა დე მალიორკაში ესპანელებს ტაშს უკრავს მათი მეფე, ხოლო ბელარუსთაგან არგენტინელთა უპირობო ძლევას მათი სპორტსმენი დიქტატორი ლუკაშენკო გაუხარებია. სად მეფის ტაში და სად გლეხის ცეკვა-თამაშიო, აქაც ჩანს.

# ყმაწვილთა ჰაკა

ეს გამარჯვების ჰაკაა! ახალი ზელანდიის 19-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ფრანგებს სძლია 34:11. დურბანის „აბსა სთედიუმის" მინდორზე ქრიამული გვარიანი იყო.




REUTERS დურბანიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge